საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

პარასკევი 20 დეკემბერი 1918 წ.

# ერთობა

ფასი 50 კაპ.

გაზეთის ფასი: 1 თვით 12 მანეთი ცალკე ნომერი ყველგან 50 კაპ. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—1 მან. სამგლოვიარო განცხადება 20 მან. საქმიანი განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 12 ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, почтов. ящ. 199. Редакція „Эртоба". სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს. რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 13. Тифлисъ, Головинскій проспектъ № 13). ტელეფონი 16—62.

№ 275 ორგანო საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 275

ღრმად დამწუხრებულნი დედა კესარია ფიფიას ასული, ძმები: ალექსი, ჯუნდო, გუდუ, ზებედე გოგიასძენი, დები: ვარვარა, ცაცუ და კაკა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ

სტეფანე გოგიას ძე გაძაღუას

გარდაცვალებას, რომელიც იქნა ვერაგულათ მოკლული ბაღდადის მთაზე „მოლომბილაში" 7 სექტემბერს 1918 წ. ტირილის და უკანასკნელად გამოთხოვების დღე დანიშნული არის 8 დეკემბერს 1918 წ. ძველი სტილით სოფელ მუხურში (ზუგდიდის მაზრა) დაკრძალვა იქნება მუხურის წმ. გიორგის ეკლესიის სასაფლაოზე. (8—6)

## საქართვ. ს.-დ. მუშ. პარტიის ცენტრ. კომ. და თვ. კომიტეტი

გადავიდა ახალ შენობაში, გოლოვინის პროსპექტი, სახლი არაქელოვისა № 24, მეორე სართული.

## ბორჩალოს მეამბოხენი

ბორჩალოში აჯანყება კი არ არის, არამედ სომხეთის რესპუბლიკის ჯარის შემოსევაა.

კაჩაზნუნის მთავრობა აგებს პასუხს ისტორიის წინაშე ამ ძმათა შორის სისხლისღვრის დაწყებისთვის.

დაშნაკცუტიუნის პარტია—სამუდამოთ იქნება სამარცხვინო ბოძზე გაკრული, შერცხვენილი, სისხლში მოსვრილი. იგი იყო მეთაური და ინიციატორი სომხის ერის ყველა აჯანყებების, რომელნიც სომხის ერის გაჟლეტა-განადგურებით თავდებოდა.

დრო, ფირუმოვი, მირიმანოვი—ეს დაშნაკელების სანაქებო გმირები, ნამდვილათ კი თავზე ხელაღებული ავანტიურისტები—აი ვინ მიუძღვის წინ და ხელმძღვანელობს ძმათა შორის სისხლის ღვრას. ცხადია აქედან—ვინაა მომწყობი იმ საშინელი ამბების, რომელიც ბორჩალოში დატრიალდა. არა ბორჩალოს გლეხი სომხები, რომელნიც მოატყუეს, გააბრიყვეს, გააცულელეს დაშნაკელებმა, ისე როგორც დუშეთელი გლეხები ბოლშევიკებმა, და იარაღით ხელში გამოიყვანეს. არა, ბრალი ამ პარტიას უნდა დაედვას, დამნაშავის სკამზე დაშნაკცუტიუნი უნდა დაისვას.

აქვე უნდა ვაღვიაროთ ერთი რამ: დაშნაკელები არასოდეს არ ყოფილა პარტია პოლიტიკურ პრინციპების. მათი სამოქმედო პროგრამა იყო ყოველთვის მოლალატეობა, ნაციონალისტური განგაში, ერთა შორის მტრობის თესვა. ბრძოლა შინ ტერორისტული საშუალებით არა თანამოაზრეებთან, ბრძოლა გარეშე—იარაღით სხვა ერის ხალხთან—აი თავი და ბოლო მათი მოღვაწეობის.

და სადაც არის დაშნაკცუტიუნი, იქ მუდამ მზადდება ამბოხება, ძმათა შორის სისხლის ღვრა.

დაშნაკცუტიუნი იმავე დროს არის პარტია სომხის ბურჟუაზიის. ამ უკანასკნელს უპირობს იგი ხალხის მასსას და მისი უკანასკნელის ინტერესებისთვის აბრძოლებს.

აბა თუ გინახავთ, თუნდ ერთი დემოკრატიული რეფორმა დაშნაკელებისგან გატარებული ცხოვრებაში. მაგრამ ბევრი გინახავთ მათგან მოწყობილი არეულობა და ბურჟუაზიის ქომაგობა. და ჩვენ ვამბობთ: სანამ ამ პარტიის ბატონობას ბოლო არ მოეღება, მანამდე ვერ დაისვენებენ კავკასიის ერები და არავითარ დემოკრატიულ წყობილებას არ ექნება ადგილი ჩვენში.

დაშნაკელებს არ შეუძლიანთ დემოკრატიული რეფორმები გაატარონ თავის ერში. მაგრამ მათ ვერ მოუთმენლებიათ მეზობელ რესპუბლიკის დემოკრატიული მოღვაწეობა, ეშინიათ ასეთივე რეფორმების მოთხოვნილება არ მოედოს სომხის ერსაც. და ამიტომ ვამჩნევთ, რაც უფრო მტკიცდება და მაგრდება დემოკრატიული ხაზი ჩვენი რესპუბლიკისა, მით უფრო მოუთმენელი და აუტანელი ხდება იგი დაშნაკელებისთვის. აი დამატებითი მიზეზი დაშნაკელების მიერ იარაღზე ხელის წავლების.

სომხის ბურჟუაზია ამაში მათ მხარს უჭერს. იგიც დაინტერესებულია დაშნაკელების ავანტიურით იმ მხრით, რომ ნაციონალისტურ ლოზუნგების განხორციელებით და მოტყუებული გლეხების სისხლით დაიბრუნონ თფილისში დაკარგული ბატონობა და მთავრობა, რომელიც მათ ჩვენმა დემოკრატიამ ხელიდან გამოსტაცა. ამ რიგათ ავანტიურა დაშნაკელების, რეაქცია ბურჟუაზიის, სიბნელე სომხის გლეხობის—აი სამი ელემენტი შეერთებული ამ ქამათ ჩვენს წინააღმდეგ. და ამას ყველას მეთაურობს დაშნაკცუტიუნი...

ამიტომ, ჩვენ ვიმეორებთ, ომი სომხეთის ჯართან, ესაა ომი დაშნაკელებთან. დამარცხება პირველის უნდა გახდეს მეორის დამარცხებათ.

ამ მიზნის მიუღწევლათ ამაო იქნება ყოველი წვეთი სისხლი ჩვენი ხალხის მიერ დაღვრილი.

და ჩვენ მოვითხოვთ მშვიდობიანობის სახელით, კავკასიის ერთა მომავალ მშვიდობიან განვითარების სახელით, ჩვენს რესპუბლიკაში დემოკრატიული წყობილების განტკიცების სახელით: უნდა დაინგრეს ბატონობა ავანტიურისტ დაშნაკელებისა, უნდა განთავისუფლდეს სომხის ხალხი ამ კაცი-ჭამიათა შეთქმულებისა, ტერორისა და ავანტიურისაგან.

უნდა განთავისუფლდეს ჩვენი დემოკრატიაც ამ რეაქციონური და მოუსვენარი მეზობლისაგან.

## სოც.-რევოლ. უციონ. ერთი პროტესტის გამო

გაზეთ „ზნამია ნაროდა"-ში გამოქვეყნებულია პროტესტი იმ ინციდენტის გამო, რომელიც მოხდა პარლამენტში 17 დეკემბრის სხდომაზე. ამ პროტესტში ბევრი რამ ისეა ნათქვამი, რომ მკითხველებში გადამეტებულ შთაბეჭდილებას დასტოვებს. იქ ნათქვამია, მაგ., რომ „ფრაქციათა უმეტესობის მხრით გაისმა მოთხოვნა, რომ ჩვენ მივეცით მონაწილეობა ოვაციებში;" შემდეგ ვკითხულობთ: „გაისმა ახალი შეურაცხყოფა ჩვენს მიმართ სოციალისტების სკამებზე მჯდომარე დეპუტატების მხრითაც კი". პროტესტი მიმართულია როგორც პრეზიდიუმის, ისე „პარლამენტის უმრავლესობის" წინააღმდეგ. ყველა ამ ადგილებმა შეიძლება მკითხველს აფიქრებინოს, რომ 17 დეკემბრის სხდომაზე მომხდარ ინციდენტში რაიმე მონაწილეობა მიუღია სოც.-დემ. ფრაქციასაც. გადაჭრით ვაცხადებთ, რომ სოც.-დემ. სკამებიდან არც ერთს დეპუტატს არ მოუთხოვნია ბბ. თარხანოვისთვის და თუმანოვისთვის ფეხზე წამოდგომა; არც ერთს დეპუტატს მათთვის არ უთქვამს არც ერთი შეურაცხმყოფელი სიტყვა. „პარლამენტის უმრავლესობა" ამ ინციდენტში არავითარი მონაწილეობა არ მიუღია გარდა იმისა, რომ ორიოდე დეპუტატი უწესოების თავიდან ასაცილებლათ გაექანა იმ ადგილისაკენ, სადაც ბ.ბ. თუმანოვ-თარხანოვი იხდნენ.

თავის პროტესტში ბ. თარხანოვი და ბ. თუმანოვი ფეხზე არ წამოდგომას ხსნიან იმით, რომ ისინი „სრულიად არ ეთანხმებოდნენ არც მომხდარ ამბების დაფასებას, არც, მით უმეტეს, მის (ნ. ჟორდანიას) დასკვნებს".

„ზნამია ნაროდა"-ს მეთაურში ამის გამო სწერია: „ბევრმა პარლამენტის წევრმა იმდენათ გონება დაჰკარგა, რომ ამ აქტში (ფეხზე არ წამოდგომაში) დაინახეს საქართველოს ღალატი".

სოც. დ. დეპუტატებისთვის სრულიად აშკარაა სოც.-რევოლიუციონერების სულისკვეთება. მათთვის საჭირო არ არის ბ. თარხანოვ-თუმანოვების საქციელის ახსნა. რაც შეეხება იმას, რომ 17 დეკემბრის სხდომაზე ისინი ფეხზე არ წამოდგნენ, ეს სოც.-დ. ფრაქციას ვერ შეურაცხყოფდა და ვერ აღელვებდა. ამიტომაც ამ ინციდენტში სოც. დ. მონაწილეობა არ მიუღიათ.

## პ რ ე ს ა

„ქოლგორდი ძაინ" (№ 85) მოწინავე წერილში სწერს:

„მოხდა საშინელი საქმე. ორი საუკუნო მეზობელი ერი დღეს დამდგარან ამოლესულ ხმლებით ერთმანეთის წინ და თავიანთ მამაპაპეულ მიწებზე ღვრიან ერთმანეთის ძვირ ხისხლს.

„მოხდა ის, რაც არ მომხდარა არასოდეს სომეხ და ქართველ ერების მთელ ისტორიის განმავლობაში, თუმცა ორი ერის ისტორია სავსეა ყოველნაირი პოლიტიკური გართულებულ მოვლენებით.

„იქ იღვრება სისხლი, აქ კი ორივე მხარეები იმით არიან გართულნი, თუ რომელი უფრო სოციალისტი ან ინტერნაციონალისტია.

„დროა, დაბოლოს, თავი დავანებოთ ამგვარ კამათს.

„საკითხი ნათლად არის დაყენებული.

„ნათლათ დაყენებულია ორი ერის შუა ეროვნული დავა ერთი ტერიტორიის შესახებ, რომელიც უნდა გადაჭრილიყო შეთანხმებით, ან არბიტრაჟის საშუალებით.

„და ამ პირობებში საბრძოლველად გამოსვლა დღევანდელ საშუალებით და დღევანდელი ტონით სრულებით არ არის მოსათმენი.

„დღეს საჭიროა სიდინჯე და კეთილსინდისიერება, რომ შეეძლოს დღევანდელ პოლიტიკურ მძამე და საპასუხისმგებლო წამს გაგება საქმის ნამდვილ ვითარებისა და მშვიდობიანი გზით დავაბოლოვოთ ეს სამწუხარო ეპიზოდი, რომელიც შეიძლება გადაიქცეს ორი ერისთვის დიდ და საუკუნო არ დასავიწყარ უბედურებათ".

მართალია, საუკუნოთ შორის დათესვას უნდა ვერიდოთ, მართალია, სადავო კითხვები უნდა კონფერენციის და არბიტრაჟის საშუალებით სწყდებოდეს და არა იარაღით, მაგრამ ვინ გაურბის ასეთ გზას? სომხეთის მთავრობა და ავანტიურისტი დაშნაკელები. და იმათ უნდა დაედვას ბრალი ამ ძმათა ომისა და მისი შედეგებისა.

* * *

უნდა აღვნიშნოთ, რომ არავითარი აზრი არ მოგვისმენია საქართველო-სომხეთის დამოკიდებულობის შესახებ გაზ. „მშაკისაგან", გულდასმით ვათვალიერებთ ამ გაზეთს, მაგრამ ის დაჟინებით სდუმს. რას მივაწეროთ ეს? ნუთუ იმ მომენტს ელოდება ეს გაზეთი, როცა „სასწორი გადაიხრება" ერთს ან მეორე მხარისაკენ?!

* * *

საქართველოს მთავრობის სიმართლეს საქართველო-სომხეთის ომში ნელ-ნელა იგნებენ საქართველოში არა-კეთილმოსურნენიც კი. „ტიფ. ლ.", რომელიც ჯერ კიდევ გუშინ მხამიან კილოთი ლაპარაკობდა საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ, აი რას სწერს ომის გამო:

„რა შეცდომებიც უნდა ჩაედინოს საქართველოს მთავრობას და რაც უნდა მართალი ყოფილიყოს ხშირათ ოპოზიცია, ეხლა, როდესაც თვით ცხოვრება ლაპარაკობს, როდესაც ცა შავი ღრუბლებით არის მოცული და ქექა-ქუხილის ხმა ისმის, ეხლა ყოველივე ჩვენთაგანმა პირველ-ყოვლისა უნდა შეიგნოს ყველა ეს და მხარი დაუჭიროს მას. ჩვენ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს მთავრობა არამც თუ ეხლა აცხადებს, არამედ წინათაც მას აღიარებდა, რომ საჭიროა ყველა სადაო კითხვების გადაჭრა მშვიდობიან მოლაპარაკებით და თვით საერთაშორისო არბიტრაჟის საშუალებით. ამ შემთხვევაში ის მარტო განცხადებებით და პლატონიური სურვილებით კი არ კმაყოფილდებოდა, არამედ დაადგა გარკვეულს გზას და მშვიდობიანობის ჩამოსაგდებლათ კონკრეტული და რეალური ნაბიჯებიც გადადგა.

„დიახ, ჩვენ ვიცით და კარგათაც გვესმის, რომ ისინი დაადგნენ ამ გზას საერთაშორისო კონიუნკტურის გავლენის გამო, რომელიც მათთვის ხელსაყრელი არ იყო და ყველა ამ თავიანთ კონფერენციის პროექტებით და საერთაშორისო ტრიბუნალებით მათ დაიგვიანეს და ამიტომ ეჭვს ბადებდენ. დიახ, ყველა ეს ჩვენ კარგად ვიცით და გვესმის, მაგრამ ფაქტი ხომ ფაქტად რჩება. საქართველოს მთავრობას კონფერენცია და არბიტრაჟი სურდა და თხოულობდა კიდეც. საქართველოს მთავრობას, რომელსაც ზურგს უმაგრებს მთელი დემოკრატია და ინტელიგენცია, სურდა და თხოულობდა ყოველივე ამას, მათ განიზრახეს ამის რეალური განხორციელება. ეს საჭიროა აღინიშნოს, ეს კითხვა იყო დასმული, იყო გარკვევით და პირდაპირ".

ბ. დუბროვსკის შეუგნია ჩვენი მთავრობის სიმართლე ამ საქმეში. ეხლა მხოლოდ ერთი რამ არის საჭირო: ბ. დუბროვსკი გაეცნოს დოკუმენტებს, რომლიდანაც დაინახავს შემდეგს: საქართველოს მთავრობას არ დაუგვიანია კონფერენციის იდეის წამოყენება, მას თავიდანვე წამოუყენებია ეს იდეა. ბ. დუბროვსკიმ ამ ბოლო დროს შეითვისა ერთნაირი მასწავლებლური კილო, მაგრამ ჩვენ ვურჩევთ: ნუ ერევა მეტის მეტათ ზერელეთ სხვის საქმეში, უფრო კარგათ ჩაუკვირდეს საქმეს და დაინახავს, რომ ამ საკითხშიც იგი ისევე სცდება, როგორც ბევრს სხვაში.

„მაგრამ ფუჭუნურ ადამიანის გულმა, რომელსაც არ სურს დაემორჩილდეს ცხოვრების კანონებს და გონიერების ხმას, არამედ აღვარ წახსნილობას, ადამიანის უგუნურობას, რომელიც აბოროტებს სულს და გულს, იმ გრძნობებმა, რომლებიც მიილტვიან დანგრევისკენ, ანგარიში არ გაუწიეს ფაქტებს, არ მისცეს საშუალება განხორციელებულიყო ქართველ ხალხის განზრახვები, დაახშეს ის გზა, რომელზედაც დიდი ხნიდან მოუწოდებენ მქადაგებელნი საკაცობრიო სამართლისკენ და სიყვარულისკენ; დიდი ბრალი მიუძღვით მათ, ვინც უარყვეს ქართველი ხალხის მთავრობის წინადადებები".

ამ ტირადას ერთი რამ აკლია: ბ. დუბროვსკიმ უნდა პირდაპირ სახელი უწოდოს იმ პარტიას, რომელსაც ბრალათ ედება სომხეთ-საქართველოს შორის დაწყებული ომი: პირდაპირ უნდა სთქვას, რომ ამ ომის დამწყები „დაშნაკცუტიუნი" არის და ამ ომის მოსასპობათ „დაშნაკცუტიუნის" პარტიისაგან უნდა განთავისუფლდეს სომეხი ხალხი.

## საქართველო-სომხეთის დამოკიდებულება

ს. მდივანის მოხსენებიდან.

სომხეთიდან ჩამოსულმა საქართველოს დიპლომატიურმა წარმომადგენელმა ს. მდივანმა სოც.-დემ. და სოც.-ფედ. შეერთებულ სხდომაზე 18 დეკემბერს გააკეთა მოხსენება საქართველო-სომხეთის ურთიერთობის შესახებ. მოგვყავს მოხსენებიდან ზოგიერთი ადგილები. დიპლომატიურ მიწერ-მოწერას და მოლაპარაკების შედეგს შემდეგ ნომერში მოვათავსებთ.

დღიდან ჩასვლისა ერევანში შევუდექი დიპლომატიურ მოლაპარაკებას. 10—12 დღეში ვერაფერი გავაკეთე დიპლომატიის სფეროში, რადგანაც სომხეთი მოწყვეტილი იყო ქვეყნიერებას და არავისთან არ ჰქონდა ტელეგრაფით კავშირი.

10 დღეში, როგორც იყო, მოვახერხე ტელეგრაფის კავშირის აღდგენა თფილისთან. შემდეგ შევუდექი სომხეთის მთავრობასთან მოლაპარაკებას.

ისინი მოითხოვდენ ახალქალაქის მაზრას და ბორჩალოს მაზრის ნაწილს. მე მათ ვუპასუხე, რომ ახალქალაქის მაზრა საქართველოსათვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს, რადგანაც ის არის ერთად ერთი მიწის ფონდი, სომხეთი კი მიწის მხრივ უზრუნველყოფილია და მისთვის ეს რაიონი არ წარმოადგენს აუცილებელ საჭიროებას.

სომხის მთავრობამ განაცხადა, რომ ჩვენ ტერიტორია იმდენათ არ გვაინტერესებს, რამდენადაც ახალქალაქის მაზრის სომეხი მცხოვრებნი: ასი ათასი ომმა გაგვიწყვიტა, 800 ათასი ოსმალეთის საზღვრებში დარჩა, რამოდენიმე ასეული ათასი თქვენს ტერიტორიაზე იმყოფება და ჩვენ გვინდა შევვრჩებათ. თუ რაიმეს დაგითმობთ, მაშინ სომეხი მცხოვრებნი მაინც უნდა წამოვიყვანოთო.

ამ მოლაპარაკების დროს მოხდა მკვლელობა ქარჩიკიანისა. მისი მკვლელი აშკარად ამბობდა, რომ ქარჩიკიანი ჩხენკელთან ერთად დამნაშავეა ყარსის გაყიდვაში და შემდეგშიაც ცდილობს რომ არ წაეყვანა სომხეთის საქმე, მოვკალიო. უნდა აღინიშნოს, რომ სომხეთში იყო ერთი ჯგუფი (ქარჩიკიანის), რომელიც თანახმა იყო მშვიდობიანი გზით მოგვარებულიყო სომხეთ-საქართველოს ურთიერთობა.

საერთოდ კი, უნდა ვსთქვა, თფილისელი დაშნაკელები სულ სხვა პოლიტიკას აწარმოებენ, ვიდრე ერევნის. იქ კონფერენციის პრინციპიალურად მოწინააღმდეგე არ ყოფილან. აქაური (თფილელი) დაშნაკელები კი კონფერენციის საკითხს უკავშირებდნენ რუსეთის აღდგენის საკითხს. სანამ რუსეთთან გაერთიანების საკითხი არ დაისმება, მანამ ყოვლად შეუძლებელია რაიმე კონფერენციაზე ლაპარაკი, ამბობდნენ თფილისელი დაშნაკელები.

ლტოლვილების გარშემო თფილისის სომხურ გაზეთებში საშინელ ცნობებსავრცელებდნენ, თითქოს ოსმალეთის მთავრობა მათ ლტოლვილებს დაბრუნების ნებას აძლევდა, ხოლო საქართველოს მთავრობა მათ არ უშვებდა თავიანთ სოფლებში. ეს ხმები სომხეთში ასჯერ გადიდებულად დადიოდა.

„ორიზონის" და „აშხატავორის" ტონს არ იზიარებდნენ ერევანში. მე ვუთხარი მათ: ან დაადექით იმ გზას, რომელსაც „ორიზონ-აშხატავორი" ადგია, ან და უარჰყავით ის ორგანოები-თქო. დაშნაკელების წარმომადგენლებმა განაცხადეს: ჩვენ ერთხელ და სამუდამოთ ხელი აღებული გვაქვს თფილისზე, როგორც საქართველოს დედა-ქალაქზე. „ორიზონი" არ არის ჩვენი პარტიის ორგანო, ის არის თითქმის პერსონალური გამოცემაო.

რაც შეეხება ორიენტაციას, ერევნის დაშნაკელებმა განაცხადეს, რომ ჩვენ არასოდეს ჩრდილოეთისაკენ არ ვიცქირებოდით, ჩვენ ყოველთვის სამხრეთისკენ მივისწრაფოდითო. საზოგადოთ, დღეს დაშნაკელების პარტიაში დიდი დეზორგანიზაციაა გამეფებული. ერთი ჯგუფი მომხრეა დამოუკიდებლობის, მეორე კი—ყოყმანობს, სომხის სახალხო პარტია კი სდგას დამოუკიდებლობის ნიადაგზე. სოციალ-დემოკრატიის ერთი ნაწილი დამოუკიდებლობის მომხრეა, ხოლო მეორე ნაწილი რუსეთის ორიენტაციითაა გატაცებული.

„აშხატავორის" კილოს შესახებ მე განუცხადე სომხეთის მთავრობას და მათ მიპასუხეს, რომ ისინი ახალგაზრდები არიან და წერა არ იციანო. საერთოდ ჩემს განცხადებას ის შედეგი მოჰყვა, რომ იქიდან ზოგება მიიღეს და ამ გაზეთებმა კილო შესცვალეს.

დაშნაკელების კონფერენციაზე 1 დეკემბერს ერთის გარდა ყველამ დამოუკიდებლობის რეზოლიუციას მისცა ხმა.

შემდეგ მომხსენებელი შეეხო იმ დიპლომატიურ მიწერ-მოწერას და მოლაპარაკებას, რომელიც მას უწარმოებია. ამ დოკუმენტებს შემდეგ ნომრებში გამოვაქვეყნებთ.

სომხეთში ლტოლვილების საკითხი მეტისმეტათ მწვავედ სდგას. ყოველ დღე იხოცება შიმშილ-სიცივისაგან 40—60 კაცი. ქუჩებში ბავშვები ყრია და იძახიან: პური, პური, პური. ისეთი საშინელი სანახაობაა, რომ მთელი თვე მე იქ არ მიძინია. ოსმალეთმა პური წაიღო იმ რაიონებიდან, რომელიც მას ჰქონდა დაკავებული.

რკინის გზები გაფუჭებულია, მთელ სომხეთს აქვს მხოლოდ ერთი სამგზავრო მატარებლის შემადგენლობა და ორი ორთქმავალი. ამ მხრივ დიდ გაჭირვებას განიცდიან. როცა ოსმალეთმა გუმბრი დასცალა, სომხეთის მთავრობას არ ჰქონდა მატარებელი, რომ იქ ხალხი გაეგზავნა და დაეკავებია.

ჯარი მეტისმეტ ცუდათაა ჩაცმული. საჭმელ-სასმელიც არაა აქვს.

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ მთელი რიგი მიწერ-მოწერის და მოლაპარაკების შემდეგ მე და სომხეთის მთავრობა შევთანხმდით კონფერენციის საკითხში და საერთოდ სადავო საკითხების მშვიდობიანი გზით გადაწყვეტის საქმეში. რომ ამ შეთანხმებისათვის ოფიციალური ხასიათი მიგვეცა, საჭირო შეიქნა ჩემი თფილისში წამოსვლა. გავემგზავრე კიდეც.

როცა მივუახლოვდით სანაინს, გავიგე ეს უბედური ამბები. სანაინთან მოსვლა ვერ მოვახერხე. მოველაპარაკე სომხის ჯარის სარდალს დროის. მან დილას ერთი მითხრა, სადა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დღეს

ხანაინის მიმართულებით, სოფ. ეკატერინფელდთან, 19 დეკემბერს, ჩვენმა სახალხო გვარდიამ სასტიკად დაამარცხა სომხის ჯარი. ტყვეთ წამოიყვანა ბატალიონის უფროსი, რამდენიმე აფიცერი და ჯარისკაცები. მტერი გაიქცა. გვარდია დაედევნა. ამ ბრძოლაში გმირულად დაიღუპა სახალხო გვარდიელი ამხ. სანდრო მაისურაძე.

---

ხანაინის ფრონტიდან თფილისში ჩამოიყვანეს ტყვე სომხების პირველი პარტია. სადახლოსთან 18 დეკემბერს დილით ჩვენმა ჯარმა მოიგერია მტრის იერიში, მოუკლა 3 ოფიცერი, ტყვეთ წამოიყვანა 37 შეიარაღებული ჯარისკაცი და 2 ოფიცერი.

---

გერმანიის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების სახელმწიფო კონფერენციამ გააუქმა ბერლინის აღმასრულებელი საბჭო. ლიბკნეხტის და როზა ლიუქსემბურგის კონფერენციაზე დაშვება უარყოფილ იქნა 440 ხმით 60 ხმის წინააღმდეგ.

---

საზავო კონფერენცია გაიხსნება იანვრის პირველ რიცხვებში.

---

საფრანგეთის სენატს საზეიმო სხდომა ჰქონდა ელზას-ლოთარინგის შეერთების გამო.

---

14 დეკემბერს მოჰკლეს პორტუგალიის პრეზიდენტი.

---

მოს კი ულტიმატუმი წამომიყენა. დაველაპარაკე პირდაპირი მავთულით ტიგრანიანს, სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრს, მაგრამ არაფერი გამოვიდა. ტელეფონოგრამა გავუგზავნე აგრეთვე ერევანში მყოფ ფრანგების წარმომადგენელს—მისგან პასუხი არ მიმიღია. მიწერ-მოწერას შემდეგ გამოვაქვეყნებთ.

---

### ერევნიდან ჩამოსული ამხანაგის ნაამბობი.

18 დეკემბერს ერევნიდან ჩამოვიდა ამხანაგი კ—ძე რომელმაც შემდეგი გვიამბო: „30 ნოემბერს ჩვენი მთავრობის ბრძანებით თფილისიდან წავიყვანეთ მატარებელი, რომ ერევნიდან ჩამოგვეყვანა ჩვენი დიპლ. წარ. ბ-ნი ს. მდივანი და სომხეთის დელეგატები თფილისში. მე ამ მატარებლის მემანქანედ ვიყავი. კარაკლისს რომ გავცდით, სომხური ჯარები გვხვდებოდა. ყველგან გვაჩერებდნენ და დიდი დავიდარაბის შემდეგ გვიშვებდნენ, როცა იგებდნენ, თუ რისთვისაც მოვდიოდით ერევანში. როგორც იყო, ჩავედით ერევანში. ვნახეთ ჩვენი დიპლ. წარმ., მაგრამ იქიდან მალე ვერ მოხერხდა წამოსვლა და იქ 8 დღე დავრჩით. ერევანი ჯოჯოხეთს დამსგავსებია. იქ დიდი შიმშილობაა. ყოველდღე იხოცებიან ლტოლვილები, რომელთაც გაუვსიათ ყველა ყაზარმები. ისინი მეტად დაბეჩავებულ მასას წარმოადგენენ. მთელი ერევნის მცხოვრებნი სამ ნაწილად განიყოფება: დაბეჩავებული მასა, რომელიც მეტად პასიური ელემენტია, „ზინვორები“ ანუ სამხედრო პარტია და ბურჟუაზია. გაბატონებულია „ზინვორიზმი“, რომლის ტერორი შიშს სცემს იქ ყველას. მთავრობა მათი გავლენის ქვეშაა. მათი მეთაურია ბ-ნი დრო.

4 და 5 დეკემბერს ჯარები წამოვიდნენ ერევნიდან. იყვნენ რუსის აფიცრებიც. დისციპლინა სასტიკი აქვთ. აფიცერს უფლება აქვს ჯარისკაცი დახვრიტოს. ქართველების დიდი სიძულვილი აქვთ. ყველაზე ძალიან ჩხენკელი სძულთ. კარჩიკიანი იმიტომ მოჰკლეს, რომ ის ქართველ დემოკრატიას კარგი თვალით უცქეროდა. ამ დროს ორთქლმავალი წავართვეს თავის საჭიროებისათვის და როგორც იყო, დავბრუნდით. 14 დეკემბერს წამოვედით ერევნიდან ს. მდივანთან ერთად წამოვიდნენ სომხის მინისტრები პაპაჯანოვი, გულიევი და სხვ. ალექსანდროპოლში მისვლისას გავიგეთ, რომ სომხები აპირებდნენ საქართველოს მოსაზღვრე ჯარებზე შეტევის დაწყებას. როცა კობერში ამოვედით, იქ შეგვაჩერეს და აღარ გამოგვიშვეს. იქ კი ყველაფერი გავიგეთ. იქვე ვნახეთ ჩვენი ჯარისკაცები მკვდრები, რომლებიც სომხებს მოეკლათ, სრულიად დასახიჩრებულნი და ტიტვლნი. იქიდან კარაკლისში წავედით. აქ მოვიდა ჩვენ დიპლ. წარმ. ნოტა, რომ დაეცალათ ადგილები ჩვენ ჯარებს. იქიდან მდივანმა ვერ მოახერხა კავშირი დაეჭირა ჩვენ მთავრობასთან. იქვე აშკარა იყო, თუ როგორ მოაწყვეს აჯანყება გლეხებისა და როგორ აუტეხეს ქართველ ჯარებს ომი. რუსის აფიცრები, აშკარათ ამბობდნენ, რომ ისინი „სომხის ჯარით მალე შევიდოდნენ თფილისში“. იქიდან ბ-ნი ს. მდივანი და სომეხი დელეგატები ავტომობილით წამოვიდნენ თფილისში, ჩვენ, მატარებლის „ბრიგადამ“ გადავწყვიტეთ ფეხით წასვლა ალსტაფაში. წავედით და იქიდან კი მატარებლით ჩამოვედით თფილისში.

---

თფილისი. 19 დეკემბერი. მთავრობის თავმჯდომარის სახელზე მიღებულია შემდეგი დეპეშები:

ქუთაისიდან: „მთელი ქუთაისი იმედიან აღტაცებით შეეგება მთავრობის ბრძანებას მობილიზაციის მოხდენის შესახებ. გაიმართა დიდი მანიფესტაციები: მთელი ხალხი მზათ არის იარაღით ხელში დაიცვას საყვარელი სამარადისოდ, დამოუკიდებელი დემოკრატიული საქართველო. მრავალ ათასიან რიცხოვანი მიტინგი გესალმებათ თქვენ. გაუმარჯოს ქართველ ერს, მის სახელოვან ლაშქარს და რევოლიუციონურ ჩვენ მთავრობას.

ბორჯომიდან: „ვიწრო ნაციონალისტურ-შოვინისტურმა მიმართულებამ შექმნა სომეხ-ქართველთა ურთიერთობაში მტრული განწყობილება, რომელიც დღითი-დღე ვითარდება და გვიქადის სისხლის ღვრას. თუ ეს ანტაგონიზმი განვითარდა და რეალური შედეგები მოჰყვა, ეს დაღუპვისაკენ წაიყვანს როგორც ქართველ, ისე სომხის დემოკრატიას. ჩვენ, ბორჯომში მცხოვრები სომეხთა საზოგადოება, როგორც თავისუფალ საქართველოს ქვეშევრდომებს, მეტად გვაღელვებს აღნიშნული მდგომარეობა, რადგანაც ის მოვლენა, რომელიც მავნებელია საქართველოს რესპუბლიკისთვის, მავნებელი და შემაძრწუნებელია აგრეთვე სომეხთათვის. ამიტომ ზემოხსენებული სომეხთა საზოგადოება გმობს რა იმ პოლიტიკას, რომელსაც აწარმოებენ სომხის და ქართველთა შურისძიებით გატაცებული ნაციონალისტები, გთხოვთ თქვენ, ნოე ნიკოლოზის ძევ, მიიღოთ ყოველივე ზომები სისხლის ღვრის თავიდან ასაცილებლად, და სომეხ-ქართველთა შორის სადავო საკითხების გადასაჭრელად კონფერენციის და არბიტრაჟის საშუალებით. რეზოლიუცია გამოტანილი იქნა 16 დეკემბერს, სომეხთა საზოგადო ყრილობაზე. ყრილობის თავმჯდომარე ვ. დავთიანცი. (ს. დ. ს.).

# ბრძოლის ველი

(სამხედრო შტაბის ცნობა)

19 დეკემბერს ნაშუადღევის 2 საათზე შემდეგი ცნობა მოვიდა:

მხოლოდ ეხლა დასრულდა სომხეთის ჯარის, რომელიც ეკატერინფელდზე უტევდა, და ჩვენი გვარდიის ბრძოლა. ბრძოლა დაიწყო დილის 6 საათიდან. მოწინააღმდეგემ ისარგებლა ნისლით, შემოერტყა ყოველმხრივ სახალხო გვარდიას და დაიწყო შემოტევა ჩვენს ბატარეიაზე, მაგრამ სახალხო გვარდიამ კონტრ იერიშით მტერი დაამარცხა და გააქცია ბრძოლის ველიდან.

სომხებს დიდი ზარალი მივაყენეთ. მთელი ველი დაფარულია მათი გვამებით. ტყვეთ წამოვიყვანეთ ბატალიონის უფროსი, რამოდენიმე აფიცერი და ჯარისკაცები. გაქცეული მტრის დევნა გრძელდება. ბრძოლაში გმირულად დაიღუპა სახალხო გვარდიელი სანდრო მაისურაძე. ჩვენი ჯარის და გვარდიის განწყობილება მეტად კარგია.

ახალქალაქის მიმართულებით 16 დეკემბერს, დაახლოვებით საღამოს 5 საათზე სომხები, ორ ესკადრონამდე, უცბათ თავს დაესხნენ ჩვენს საველე დარაჯებს ახალქალაქის საზღვარზე. მცირე სროლის შემდეგ თავდასხმა მოგერიებულ იქნა, მალე შემდეგ სომხებმა შემოტევა განაახლეს, მაგრამ ჩვენმა მოსულმა რაზმმა ისინი უკუაგდო.

სომხებს მოემატათ ახალი ძალები და საღამოს 8 საათზე შემოტევა განაახლეს და შეავიწროვეს ჩვენი ნაწილები სოფელ ტროიცკოესთან. ჩვენმა ნაწილებმა კონტრ იერიშით მტერი განდევნეს სოფელ ტროიცკოედან და დადევნების შემდეგ ისინი საზღვარს იქით უკუაგდეს. ტყვეთ წამოყვანილია 8 სომეხი ბრძოლის ველზე მტერმა დასტოვა 15 მოკლული და 40 დაჭრილი. ჩვენი ზარალი უმნიშვნელოა.

ხანაინის მიმართულებით ღამის განმავლობაში იყო სროლა.

სადახლოსთან 18 დეკემბერს, დაახლოვებით 5 საათზე, სომხების ნაწილებმა ისარგებლეს ღრუბლიანი ამინდით, ჩამოეშვენ მთებიდან და შემოუტიეს ჩვენს ნაწილებს, მაგრამ ისინი მალე დიდათ დაზარალებულნი მოგერიებულ იქნენ. მალე მტერმა ისევ განაახლა შემოტევა, მაგრამ ჩვენი ნაწილების კონტრ შეტევით იძულებული შეიქმნა გაქცეულიყო, რის შემდეგ ბრძოლის ველზე დასტოვეს 3 აფიცერი და რამდენიმე ათეული ჯარისკაცი. ტყვეთ წამოყვანილია 2 აფიცერი (ერთი მათგანი რუსია) და 27 შეიარაღებული ჯარისკაცი.

ახალქალაქის მაზრაში მდგომარეობა უცვლელია. გამოირკვა, რომ ყველგან ჩვენს წინააღმდეგ მოქმედებენ სომეხთა რეგულიარული ნაწილები.

პირველ დღეებში ტყვეთ წაყვანილი 5 ქართველი ჯარისკაცი სომხებს დაუხვრეტიათ.

# საქართველოს ხალხისადმი

მოქალაქენო!

ომის და რევოლიუციის დროს პირველ რიგში თქვენ იდექით და ბრძოლით და სისხლით იკაფავდით გზას თავისუფლებისაკენ.

თქვენმა რაინდობამ და კლდე გულმა დაამსხვრია მონობის ბორკილები და საქართველოს ცაზედ ამობრწყინდა მზე თავისუფლებისა.

თქვენ მიერ არჩეული და თქვენის ნდობით აღჭურვილი მთავრობა მხნედ და მტკიცედ შეუდგა ყოველივე იმის განხორციელებას რაც დაავალეს მას რევოლიუციამ და მისმა მეღროშეებმა.

ორგულიც კი იტყვის, რომ უზარმაზარ რუსეთის სივრცეზე ერთად ერთი საქართველოა, სადაც ხალხმა და მისმა მთავრობამ გადალახეს ყოველგვარი დაბრკოლება, შექმნეს საშინელ პირობებში სახელმწიფოებრივი ცხოვრება, ქარიშხლის ტალღებში დაამყარეს ერთგვარი წესიერება და მშვიდობიანობა.

საქართველო სულ რამოდენიმე თვეში გადაიქცა სახალხო რესპუბლიკათ; ლამპარი თავისუფლებისა, თასასწორობისა, ხალხთა შორის სრული ძმობისა და სოლიდარობისა დაინთო შიგ და ჩვენი სამშობლოს დიდების განთიადი უკვე გამოჩნდა.

მოქალაქენო! მტერს შეშურდა, მტერმა ვეღარ მოითმინა; მან მოინდომა ამ ლამპარის ჩაქრობა, ჩვენი რესპუბლიკის დაღუპვა.

ჩვენს მთავრობას არც სურვილი ჰქონდა და არც დრო სხვას შეედავებოდა. ჩვენი მთავრობა მთელ თავის ძალღონეს ახმარდა ახალი ცხოვრების აშენებას ხალხის საკეთილდღეოთ და საბედნიეროთ; მეზობლებთან კი სრული მეგობრული ურთიერთობის გამტკიცებას ცდილობდა.

სწორედ ამ დროს მოღალატე მტერი ქურდულათ და მუხანათურათ ზურგში ჩაგვცა ხანჯალი.

ეს მტერია სომხეთის მთავრობა.

მოქალაქენო! თქვენ კარგათ იცით, ვის ხელშია დღეს ეს მთავრობა.

ესენი არიან ის პირები, რომლებსაც ყველგან შხამი და მტრობა შეაქვთ და რომლებიც თვით სომხის ერს დაღუპვისაკენ მიაქანებენ. აი ამ მტერმა მოინდომა დღეს ჩვენი სამშობლოს და ჩვენი თავისუფლების ფეხქვეშ გათელვა.

თუ ამ მტერმა გაიმარჯვა, იცოდეთ, უნდა გამოვეთხოვოთ მაშინ რესპუბლიკას, სამშობლოს, თავისუფლებას და თანასწორობას.

ეს კიდევ ცოტაა: შერცხვენილებს, თავლაფ დასხმულებს ყველა პირში ჩაგვაფურთხებთ და გვეტყვით,—შორს ჩვენგან, თქვენ ღირსი არა ყოფილხართ თავისუფლებისათ.

საქართველოს რესპუბლიკის არწივებო! შემოკრბით თქვენი მთავრობის გარშემო და დაანახვეთ მუხანათ მტერს, რომ თქვენს ჰყავნებს შეუძლიათ დღეს თქვენი სამშობლოს და თავისუფლების მტერთა დათრგუნვა.

აინთეთ ცეცხლით გული, გაიმსჭვალეთ ერთის ფიქრით, ერთის გრძნობით და მედგრათ, ელვის სისწრაფით ეკვეთეთ თქვენი თავისუფლების მტერს ქართველურათ, მამაცურათ, როგორც შეშვენის ჭეშმარიტ დემოკრატებს და რევოლიუციონერებს.

მოქალაქენო! მობილიზაცია გამოცხადებულია და ჩვენი მთავრობა იწვევს რესპუბლიკის და თავისუფლების დასაცავათ 1892, 1893, 1894 და 1895 წლებში დაბადებულთ.

მაგრამ გვწამს, რომ თქვენ შორის გმირები გაცილებით მეტია.

თქვენი შეგნება, თქვენი სინდისი და რევოლიუციის ქარცეცხლში გაკაჟებული გული გეტყვით თქვენ, თუ როგორ უნდა მოიქცეთ დღეს. გაითვალისწინეთ ის მონობა და საშინელი დამცირება, რომლითაც გემუქრებათ აგაზაკურათ შემპარავი მტერი.

მოიგონეთ თავისუფლებისათვის ბრძოლაში შეწირულთა წმინდა საფლავები და თქვენ თვითონ დაინახავთ, თუ რა არის დღეს თქვენი ღვთიური მოვალეობა.

სწრაფათ გაჩნდებით ყველა, ვისაც მთავრობა გიწვევთ ჯარში სამშობლოსა და თავისუფლების დასაცავათ, სხვები კი მოხვალთ მოხალისეებათ, რომ საერთო ძალღონით და ერთის დაკვრით გაუქარწყლოთ მტერს მისი იმედები.

მოქალაქენო! სამშობლო და თავისუფლება განსაცდელშია. დაუმტკიცეთ ქვეყანას, რომ არავითარ მტერს მისი დამარცხება არ შეუძლია!

დღეს გამოჩნდება, რამდენათ გიყვართ სამშობლო და თავისუფლება.

გამარჯვება, დიდება და უკვდავი სახელი სამშობლოსა და თავისუფლებისათვის შეუპოვარ მებრძოლებს!

საქართველოს რესპუბლიკის
სამხედრო მინისტრი გ. გიორგაძე.

# უკანასკნელი ცნობები

თფილისის და გორის მაზრებში სამხედრო წესები გამოცხადდა. გენერალ გუბერნატორის უფლებებით აღიჭურვა გუბერნიის კომისარი მაღლაკელიძე.

---

თფილისის გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით აღკრძალულია ქუჩებში ღამის 11 საათის შემდეგ დილის 5 ნახ. საათამდე უნებართვოდ ყოველგვარი მოძრაობა. სავაჭროების და სხ. უნდა დაიკეტოს საღამოს 10 საათზე. ვიდრე მობილიზაცია სწარმოებს მაგარი სასმელებით სავაჭროები უეჭველად უნდა დაბეჭდილ იქნეს. აკრძალულია მაგარი სასმელებით ვაჭრობა კლუბებში, ბუფეტებში და სასადილოებში. ეს სავალდებულო დადგენილება უკვე ძალაში შევიდა 19 დეკემბრიდან.

---

გუშინ, 19 დეკემბერს, ვაგზლიდან გოლოვინის პროსპექტზე გამოატარეს სანაინის მხრიდან ჩამოყვანილი ტყვე სომხები 120 კაცზე მეტი, მათში 5—6 აფიცერია. ჩვენს ჯარს მათთვის წაურთმევია სამხედრო დროშა.

---

18 დეკემბერს თფილისში ჩამოიყვანეს სომხის ტყვეები, რიცხვით 60 კაცი. აქედან 40 კაცი სამხედრო ტყვეებია. ტყვეებთა შორის ორი ოფიცერია, ერთი მათგანი რუსია. ტყვეები სომეხთა შეოთხე პოლკის ჯარისკაცები არიან, რომელსაც მეთაურობს თფილისელი პოლკოვნიკი მირიმანოვი. ტყვეების სიტყვით ამ ბრძოლის დროს მეოთხე პოლკს დიდი ზარალი უნახავს. ტყვეებთა შორის ინტელიგენტებიც არიან—ერთი ექიმი და ერთიც თფილისელი სტუდენტი.

# საქართველოს პარლამენტი

17 დეკემბრის სხდომა.

(სტენოგრაფიული ანგარიშიდან).

**გრ. რცხილაძე.** (სოც. ფედ.) მძიმე, სასტიკი მომენტია. თქვენ მოწმე იყავით, რომ მთავრობის თავმჯდომარე, ჩვენი დემოკრატიის მესვეური, ჩვენი დემოკრატიული პარლამენტი, ჩვენ ყველანი ერთის აზრით ვიყავით გამსჭვალული, მთელი ფიქრით გატაცებული, და ისმენდით იმას, რასაც ჩვეულებრივ ენაზე იარაღის გაშიშვლება ეწოდება. გვაიძულეს ჩვენ ყველა იარაღი აგვეღელარუნებინა, დაარღვიეს ერთა სოლიდარობის პრინციპი.

მე არ შემიძლიან დამშვიდებით არც ვილაპარაკო, არც ვიფიქრო ამ საკითხზე. უმიზეზოდ არაფერი ხდება. ტყუილად ვფიქრობთ, თითქოს აქ გარდამავალი მიზეზი იყოს. მიზეზები არის საშწუხაროდ და ამ მიზეზებს გამოხატავს სამხედრო პარტია, რომელსაც არა სურს რესპუბლიკაში სიმშვიდე იყოს.

პირველი საკითხი, რომელიც იბადება ყველგან, სადაც კი გარეშე ძალა შემოესევა, მდგომარეობს იმაში, თუ რით უპასუხოთ ამას? აქ მხოლოდ ერთი პასუხი შეიძლება: შემოსეულ ძალას უნდა დაუპირდაპიროთ შეერთებული ძალა, მაგრამ ძალა შეიქმნების ორნაირად: ჩვენ გვინდოდა ჩვენი სახელმწიფოს ძალა შეგვედგინა ისე, რომ ყველა მოქალაქე არა მთავრობის განკარგულებით ასრულებდეს თავის მოვალეობას, არამედ იგი თავისი შეგნებით ყოფილიყო მზად რესპუბლიკის დასაცავად. ჩვენ გვინდოდა, რომ გარჩეულად ეროვნებისა ყველას ეგრძნო თავი, როგორც თავის სამშობლოში; ამ წესით გვინდოდა აგვეგო ჩვენ სახელმწიფო. მაგრამ არ გვაცლიან ამ მუშაობას, არ გვაცლიან შურით, რომ აქ ვიცავთ დემოკრატიულ წყობილებას, შური და უნდათ აქაც გამეფდეს უწესოება, რომელიც ირგვლივ გვარტყია ყოველი მხრით. არიან ისეთი ელემენტები, რომელნიც ფიქრობენ, რომ როცა უწესოება არის, მაშინ მეტის გაკეთება შეუძლიათ.

ჩვენ გვინდოდა გულწრფელად აგვეშენებინა სახელმწიფო თავისუფლების და კეთილმეზობლობის პრინციპზე, მაგრამ არ გვაცლიან. დღეს ვინც ჩვენთან არ არის, ის ჩვენი მტერია. ვინც ნებაყოფლობით არ იქნება დამცველი ჩვენი ქვეყნის, იმას ვაიძულებთ დასტოვოს ჩვენი სახელმწიფო. ნურავინ მოიტყუებს თავს, რომ აქ რაღაც პატარა ჯგუფი მოქმედებს და უბრალო გარემოება იყოს სანაინის ამბები. არა! ეს დიდი შებრძოლებაა. ის პირები, რომელნიც ხელმძღვანელობენ ამ საომარ მოქმედებას, რომელნიც უარჰყოფენ მშვიდობიანის გზით სადაო კითხვების გადაწყვეტას, ეს პირები არ დასცხრებიან იმ დრომდე, სანამ თვით იარაღი არ დაამტკიცებს მათ შეცდომას. მხოლოდ იარაღით შეიძლება ეხლა დავუმტკიცოთ რომ ის გზა, რომელიც მათ აურჩევიათ სადავო კითხვების გადასაჭრელად, შემცდარია.

მთავრობის თავმჯდომარემ სთქვა—ალბად, იმ მთავრობას, რომელიც აწარმოებს ჩვენს წინააღმდეგ მოქმედებას, გარეშე ძალის იმედი აქვსო. მე უნდა მოგახსენოთ, რომ თუ ის სამხედრო მოქმედება, რომელიც არარატის მთავრობამ დაიწყო, გაგრძელდა, თუ ის გასტანს რამდენსამე თვეს, მაშინ სრულიად სამართლიანად შეიძლება ითქვას, რომ ეს გარეშე ძალა თვითონ შეიცდება ამ მოქმედების ლიკვიდაციისათვის. ამიტომ ჩვენი მიზანი უნდა იყოს საჩქაროდ მოხდეს ლიკვიდაცია ამ ამბებისა.

ვისაც აინტერესებს ერთა თვითგამორკვევა არა მარტო სიტყვით, არამედ—საქმითაც, ის ჩვენთან უნდა იყოს ამ ბრძოლის დროს, სომხეთის მოღვაწეებმა იციან, და თუ არ იციან, უნდა იცოდნენ, რომ გარეშე ძალის მოწვევა შინაურ საქმეებისათვის, არ არის მიზანშეწონილი, იგი პირდაპირ დამღუპველია, ეს უნდა იცოდნენ გამოცდილებით. არის ისეთი ჯგუფი, რომელიც ფიქრობს, რომ მას დასაკარგი არაფერი აქვს და ადგია ავანტიურის გზას. და მე მწამს, რომ უდიდესი ნაწილი სომხის ერისა შორს არის ამისაგან და ის მოსურნეა მშვიდობიანი გზით მორიგებისა მეზობლებთან. არიან ისეთი პირები, რომელთაც ვერავითარმა გამოცდილებამ ვერ ასწავლა, რომ შეიარაღებული ძალით არ შეიძლება გადაწყვეტა სადავო საკითხებისა, მათ წინააღმდეგ ერთი საშუალება გვაქვს—დარაზმვა მთელი ჩვენი სამხედრო ძალებისა და ჩაქრობა ავანტიურისა.

მთავრობის თავმჯდომარემ მოუწოდა პარლამენტს ერთსულოვან მოქმედებისათვის. პარლამენტს შეუძლია სთქვას, რომ ყველა ის, ვისაც ესმის დღევანდელი ჩვენი მდგომარეობა, მთელი თავისი ფიზიკური და გონებრივი ძალით მიაშურებს სამშობლოს დასაცავად.

ისარგებლეთ ჩვენი ძალებით, გვიხელმძღვანელეთ და მოუღეთ ბოლო ავანტიურას (ძლიერი ტაში).

**გ. გვაზავა** (ნ. დ.) მამულიშვილნო! ლაპარაკის დრო არ არის, დროა მოქმედებისა. მაშინ, როდესაც მტრის ვერაგულათ დაგვეცა და იღვრება ქართველების სისხლი, ვის შეუძლიან ლაპარაკი?! მერე ვინ დაგვესხა? ის ერი, რომლისათვის საუკუნეთა განმავლობაში ყოველთვის ღია იყო საქართველოს კარი, რომელიც მუდამ ჰპოულობდა საქართველოში ძმურს განწყობილებას და მყუდრო თავშესაფარს, სწორედ ეს ერი გვებრძვის, დაგვეცა ზურგში ხანჯლით. ვინც ვერა ჰგრძნობს ეხლა ამ ეროვნულ შეურაცხყოფას, ვინც ვერა ჰგრძნობს, რომ ცაში დადიან წარსულ გმირების ლანდები და საიდუმლო ჩურჩულებენ წინაპართა საფლავებს, ის არ არის მამულიშვილი, ის ჩვენთან არ იქნება, და ვინც ჩვენთან არ არის, იგი ჩვენი მტერია. უნდა განვაცხადოთ საყოველთაოთ, რომ ამ წამს არ არსებობს პარტიული დანაწილება, ამ წამს მხოლოდ ერთი პარტიაა—ქართველი ერი, ერთის აზრით, ერთის გრძნობით გატაცებული, რომ დაიცვას თავისუფლება, თავისი ეროვნული ღირსება და პატიოსნება. გაუმარჯოს საქართველოს! (ტაში).

**ვალ. ჯუღელი** (ს. დ.) მოქალაქენო, არც ერთ გალაშქრებაში, რომელშიაც ამ უკანასკნელ ხანებში ჩვენი დემოკრატია იღებდა მონაწილეობას, არ ყოფილა ისეთი აღფრთოვანება და ერთსულოვნება, რომელიც არის, იმ გალაშქრებაში, რომელსაც ვაწარმოებთ და ვიწყებთ სამწუხაროთ ჩვენ დღეს.

და თუ ესეთი ერთსულოვნება და აღფრთოვანებაა მთელ ჩვენს ხალხში და მის მებრძოლ ელემენტებში მიზეზი, ამისა ის კი არ არის, რომ ჩვენ ომი გვიყვარს, რომ ჩვენ ომის მოტრფიალენი ვართ, არამედ ის, რომ ჩვენს ომის სიმართლე, ჩვენი საქმის სიმართლე გვწამს და როგორმე მთელი ჩვენი ძალღონით გვინდა, რომ რომ ეს ომი ადრე ჩავაქროთ.

ასე ვაყენებთ ჩვენ საკითხს. როდესაც ჩვენი რაზმები, მუდმივი რაზმები, რეგულიარული ჯარი და სახალხო გვარდია ერთმანეთს ასწრებენ და სიხარულით მიდიან ფრონტზე, ეს არის იმის მაჩვენებელი, რომ ამ ომში უთუოთ ჩვენ უნდა გავიმარჯვოთ. რადგანაც სიმხნევეს, აღფრთოვანებას სარჩულათ სიმართლე უდევს, ჩვენ მხარეზე იქნება გამარჯვება (მქუხარე ტაში).

და მე მოქალაქენო, მინდა თვალი გადავავლო იმ ახლო წარსულს, როდესაც ვიცავდით იმ ხალხს, რომელიც დღეს ჩვენ წინააღმდეგ ამხედრებულა.

აი სწორედ წარსული არის იმის მოწმე, რომ ჩვენ არასოდეს არ ვხელმძღვანელობდით ნაციონალური შუღლით. და იქ, სადაც რომელიმე ერი, რომელიმე ჯგუფი იჩაგრებოდა, ჩვენ ჩვენი ღონით, ჩვენი დახმარებით მივდიოდით მათთან და მათ ვშველოდით. ამას წინად, როდესაც თათრების ბრბოებთან ვაწარმოებდით ბრძოლას, შულავერი დიდ განსაცდელში ჩავარდა და ჩვენ განვიზრახეთ ამ შულავერის დაცვა. როდესაც შულავერს, სადაც განსაკუთრებით სომხები სცხოვრობენ, ირგვლივ ჰქონდა რკალი დარტყმული თათრებისა, ჩვენმა პატარა ჯგუფმა განიზრახა შულავერის დაცვა.

ჩვენ გავეშურეთ შულავრისკენ და სწორედ ამ ექსპედიციაში დავკარგეთ რამდენიმე ჩვენი ძვირფასი ამხანაგი და სხვათა შორის ვალიკო შარაშიძე.

სადახლოში, როდესაც საშინელი ალი დაანთო სომხების და თათრების ურთიერთობაში, და როდესაც ერთის მხრივ იდგა დარაზმული სომხები და მეორე მხრივ დარაზმული თათრები, ქართველები შუაში ჩავდექით და უთხარით მათ; მიეცით ერთმანეთს ხელი, რადგანაც თქვენ, როგორც მშრომელი ხალხი, როგორც მუშა ხალხი, ერთმანეთის ძმები ხართ და თქვენ არ მოგცემთ აწიოკების და ომის-ნებას და მართლაც ეს ხალხი, რომელიც საომრად იყო მომზადებული დაიშალადა თავიანთ ქვეყნას დაბრუნდა.

როდესაც ჩვენ ბოლშევიკები დავამარცხეთ სოხუმის ფრონტზე, დავიკავეთ სოხუმის ოლქი, ჩვენთან მოვიდნენ სომხის ნაციონალური საბჭოს წარმომადგენლები და გვითხრეს; ჩვენ გვინდა გადავესახლდეთ სოხუმის ოლქიდან, რადგანაც მრავალი საფრთხე მოგველის და ჩვენ გვინდა ეს საფრთხე თავიდან ავიცილოთ; ჩვენ უთხარით იმათ: საქართველოს დემოკრატია არის თქვენთან ერთად და თუ თქვენ, როგორც სომხებს, რაიმე საფრთხე მოგელით, ჩვენი მთელი ძალ-ღონით დაგეხმარებით თქვენ, და თუ დახმარება ვერ შევძელით, ჩვენ თქვენთან ერთად დავიჩაგრებით. ჩვენ ყოველთვის ასეთ პოლიტიკას ვაწარმოებდით და ამასთანავე ისეთი მდგომარეობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

არის, რომ არც ერთ ერის წინააღმდეგ არავითარი განსაკუთრებული ზომების მიღება არ გვინდა, არც ერთი ერის დაჩაგვრა არ გვსურდა. და დღეს ყველა ამ მაგალითების შემდეგ, სწორედ ამ ერის წარმომადგენლები, სწორედ ის ჯგუფი, რომელიც ამ ერის საუბედუროთ და სუბედისწეროდ გაჩენილა და რომელსაც სახელად ჰქვიან დაშნაკცაკანთა პარტია, რომელმაც დაღუპვის გზაზე დააყენა სომხის ერი, და ვამბობ, თუ დაიღუპა სომხეთი ამ პარტიის ნამოქმედარი იქნება, აი სწორედ ეს ჯგუფი სრულიად მოულოდნელად ავაზაკურად, ქურდულად თავს დაესხა ჩვენს მოდარაჯე რაზმს, როდესაც არავინ მოელოდა. ციციანოვის რაზმი დასასვენებლად იყო, ჩაისა სვამდა მაშინ, როდესაც ირგლივ დაეცა მას მებრძოლი რაზმი. ეს მცირე რაზმი თითქმის სრულიად განადგურებულია. ტ სხვა ადგილებში, იმ დროს, როდესაც ომს სრულიად არ მოველოდით, როდესაც ჩვენ გვინდოდა მთელი ჩვენი ძალღონით მორიგება, სწორედ ამ დროს ავაზაკურად დაამზადეს ის სატევარი, რომელიც ჩვენ გულში ჩაგვცეს, მაგრამ ჩვენ მოწინააღმდეგებს ეგონათ, რომ საქართველოს დემოკრატია, რომელმაც შექმნა თავის დამოუკიდებლობა, რომელმაც თავისი თავი გადაარჩინა, იმდენად სუსტი იქნება, რომ ერთი ქურდული დაკვრით შეიძლება ამ დემოკრატიის განადგურება.

ჩვენ კი ვიცით, მეგობრებო, რომ სწორედ საქართველოს დემოკრატია დღეს დგება ფეხზე და ჩვენთან, სხვათა შორის, სომხის დემოკრატიის საუკეთესო ნაწილი, ყველაზე უფრო პატიოსანნი მუშაკნი ჩვენთან ერთად არიან, ჩვენთან ერთად იბრძვიან. ეს სხვათა შორის იმის მაჩვენებელი არის, რომ ჩვენი საქმე სამართლიანია და სამართლიან საქმეში, ბოლოს და ბოლოს გავიმარჯვებთ. ზოგი ერთნი თითქმის სასოწარკვეთილებამ გაიტაცა. ისინი, ვინც არ იცნობენ სამხედრო მოქმედებას და სამხედრო მოქმედება მხოლოდ მსხვერპლით სინჯავენ, ფიზიკურად, როდესაც გაიგებენ რამდენი კაცი მოკლეს, იმათ სასოწარკვეთილება იტაცებს, მაგრამ ვინც უფრო ღრმად ჩაიხედავს საქმეში, ვინც გაითვალისწინებს იმას, თუ რა აღფრთოვანება გამოიწვია ამ ქურდულმა ავაზაკურმა თავდასხმამ, ის რასაკვირველია მიხვდება, რომ სწორედ დღეს იწყება ის საათი, როდესაც გამარჯვება ჩვენს მხარეზე გადმოდის, თუ წინად ჩვენი რაზმი ყოველთვის რყევაში იყო, სულ ერთია სადაც უნდა წაგვეყვანა, დღეს ეს რყევა სრულად არ არის და დღეს, როდესაც ჩვენ ვიწვევთ 20 კაცს და 20 კაცის ნაცვლად მოდის 30, რომელთაც კარგად იციან, რომ დღეს ისინი სალხინოდ არ მიდიან, არამედ საბრძოლველად და თუმცა ბევრმა მათგანმა იცის, რომ ბევრი მათგანი იქნება ვეღარ დაბრუნდეს თავის სახლში, ისინი მაინც დიდის აღფრთოვანებით მიდიან ამ საპ სუხისმგებლო საქმეზე, რადგანაც მათ კარგად იციან, რომ თავიანთ სისხლით, თავიანთ სიცოცხლით საქართველოს დემოკრატიას და საზოგადოდ დემოკრატიას იცავენ. და აი, სწორედ დღეს, როდესაც ერთის მხრივ ჩვენს რაზმს უკვე პოზიცია უჭირია და მეორეს მხრივ ახალი რაზმი იგზავნება იქით, მე მინდა გითხრათ შემდეგი:

მე ვიცი, რომ ჩვენი ჯარი და ჩვენი სახალხო გვარდია კარგად იბრძოლებს. მაგრამ მე მინდა ისიც დავიჯერო, რომ მთელი საზოგადოება და განსაკუთრებით ის საზოგადოება, რომელსაც წარმოადგენენ ბ. ვეშაპელი და გაბაშვილი, ამ ჩვენს ბრძოლაში სავსებით მხარს დაგვიჭერენ (ვეშაპელი—წამოძახილი). თორემ მე მახსოვს მოქალაქენო, ბათუმის ეპოპეია და სწორედ ბათუმის ეპოპეიაში ჩვენ დავმარცხდით, არა იმიტომ, რომ ჩვენ სრულიად მოუმზადებელნი და სუსტნი ვიყავით, არამედ იმიტომ, რომ ჩვენი საზოგადოება ძალიან გულგრილად შეხვდა ამ ომს. აღდგომის დღეს, როდესაც ჩვენს ფრონტზე ჩვენი მებარგულნი თავის სანგრებში იწვნენ, თითქმის არავის გახსენებია ამ ფრონტის ბედი, გარდა ქუთაისის ქალთა საზოგადოებისა და ნახალოვკის მუშებისა.

როდესაც დღეს აქედან გავდივარ ვითხოვ, რომ ეს საზოგადოება, რომელიც პირდაპირ მონაწილეობას ვერ იღებს ამ ბრძოლაში, მაგრამ რომელსაც სწამს ამ ბრძოლის სიმართლე და დემოკრატიის გამარჯვება,—ჩვენ ვინც ამ ასპარეზზე მივდივართ არ დაგვივიწყონ და იმედია მთელი თავისი შეძლებით, მთელი თავის ძალღონით მხარს დაგვიჭერენ (ვაშა, ტაში).

გრ. გიორგაძე (სამხ. მინისტ.) მოქალაქენ! მას შემდეგ, როცა თავის სურვილი პარლამენტმა წარმოსთქვა, და ეს სურვილი აქ მოვისმინეთ. მე თამამად შემიძლია გადავცე იმ ჯარს, რომელიც ჩვენ საზღვრების დასაცავად მიდის,— რომ მთელი ქართველი ერი, მთელი დემოკრატია მასთან არის და მხარს დაუჭერს მას, ამ მძიმე პირობების ბრძოლის დროს, რომელიც დღეს არსებობს. (მხურვალე ტაში, „გაუმარჯოს საქართველოს"!).

დამერწმუნეთ, რომ ამ ახალგაზრდა ჯარმა ამ სამი დღის განმავლობაში დაამტკიცა, რომ მას შეუძლიან თვისი მკერდი გაუშვიროს მოწინააღმდეგე ტყვიას. ეს დაამტკიცა მან მით, რომ მიუხედავად იმისა, რომ ამ 3 დღის განმავლობაში, მოულოდნელად იმყოფება აუტანელ პირობებში, მიუხედავად იმისა, რომ ის ჩავარდა ისეთ პირობებში, რომ სხვა ამ პირობებს ვერ აიტანდა, და დაიღუპებოდა მან გაარღვია წრეები მოწინააღმდეგეებისა და მებრძოლურად, თავდადებით, ქართველურად (მხურვალე ხანგრძლივი ტაში, გაუმარჯოს!) გამოვიდნენ სამშვიდობოთ, გამოვიდა სამშვიდობოთ იმიტომ, რომ ეხლა ახალი ძალა მოიკრიბოს. სასიქადულოთ ჩვენი ჯარისა უნდა ითქვას, რომ მიუხედავად იმისა, რომ ამ ჯოჯოხეთურ პირობებში იყო, თუმცა ბევრი დაიღუპა, მაგრამ არც ერთს ზურგი მტრისათვის არ უჩვენებია (მხურვალე ტაში). ეს უტყუარი საბუთი არის, რომ ჩვენი რეგულიალური ჯარი, ჩვენი სახალხო გვარდია, ჩვენი მუშები, გაემგზავრნენ ერთად დღეს, ჩვენ საზღვრების დასაცავათ, დამოუკიდებლობის დასაცავად და შესძლებენ თავის მოვალეობა შეასრულონ პირნათლად თავის სამშობლოს და თავის დემოკრატიის წინაშე. ეს ჩვენი ხმა, ეს თქვენი გამოძახილი, რომელიც მას მისწვდება, ისეთი გამოძახილია, რომელიც მთელ საქართველოს მოეფინება, ეს არის უშთავრესი გამომხატველი ძალა, ეს არის ზნეობრივი ძალა, რომელიც შესძლებს ფიზიკურ და ზნეობრივ ძალასთან ერთად შედუღებული დაიცვას ჩვენი თავისუფლება და დამოუკიდებლობა! („გაუმარჯოს საქართველოს"! (მხურვალე ტაში. პარლამენტი ფეხზე ადგომით აცილებს სამხედრო მინისტრს).

(დასასრული იქნება.)

## ———— იყიდება ძველი გაზეთები ————

პირობების გაგება შეიძლება გაზ. „ერთობის" კანტორაში—დილის 9 საათ. 2 ს. და საღამოს 5—8 საათამდე.

## ბრძანება რესპუბლიკის ჯარების მიმართ

16 დეკემბერი, 1918 წ. № 103.

საომარ ასპარეზზე მყოფი ლაშქარი სხვადასხვა გარემოებით გამოწვეულ მიზეზთა გამო ბევრჯერ მოკლებულია ცხელ საჭმელს. რომ ასეთმა შემთხვევებმა არ ავნოს მეომართა ჯანმრთელობას, ვუბრძანებ: საქართველოს ჯარის მომარაგების უფროსის მიერ ამა წლის 24 ივლისის ბრძანებით დამტკიცებული ნახევარი მისხალი ჩაის და 8 მისხალი შაქრის რაოდენობა გადიდებულ იქნეს ომის ასპარეზზე მყოფ ლაშქრისთვის: ჩაისა სამ მეოთხედ მისხლამდე და შაქრისა 12 მისხლამდე.

განსაზღვრა ომის ასპარეზისა ზურგის ჯარისაგან მიენდოს ლაშქრის მთავარ სარდალს.

სამხედრო მინისტრი გიორგაძე.

## საშობაო საჩუქარი ჩვენს მხედრებს

ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებამ გადასწყვიტა შეაგროვოს საშობაო საჩუქრები იმ ნაწილებისათვის, რომლებიც იმყოფებიან საქართველოს განაპირა ადგილებში. საჩუქრად მიიღება: თამბაქო, პაპიროსის ქაღალდი, სპიჩკა, ჩაი, შაქარი, საცვლები, ცხვირსახოცები, ტანისამოსი, ფეხსაცმელები, ბაშლიკები, კონსერვები, ხილი, ღვინო, კონიაკი და სხვა—მიიღება საქველმოქმედო საზოგადოების კანტორაში, სასახლის ქუჩა № 5. ფულით შემოწირულება კი მიიღება სამეურნეო ბანკის შენობაში, ბ-ნ პ. ალ. გოთუასთან, ბანკის მეცადინეობის დროს, სასახლის ქუჩა, სახლი სარაჯიშვილისა № 6.

საქველმოქმედო საზოგადოებამ ამ მიზნისათვის თავისი კასიდან გადადვა 50.000 მან. საჩუქრები დაეგზავნება ჯარს საზოგადოების მიერ არჩეულ საგანგებო რწმუნებულების ხელით. საზოგადოება მოუწოდებს ფილიალურ განყოფილებებს, გახსნან ადგილობრივათ შემოწირულების მიღება ჩვენი ჯარისათვის.

## ახალი ამბები

**სავალდებულო დადგენილება** თფილისის გენერალ გუბერნატორისა. ჩემდამი რწმუნებულ საგენერალ-გუბერნატოროში აეკრძალულია ბეჭდვა და გაყიდვა ისეთი ცნობებისა, რომელიც გამომდინარეობს კერძო აგენტებისა და წყაროებისაგან; ნებადართულია ბეჭდვა და გაყიდვა საქართველოს ოფიციალური დეპეშათა სააგენტოს დეპეშებისა. ის პირნი, რომელნიც დაარღვევენ ამ სავალდებულო დადგენილებას დატუსაღებულნი იქნებიან ერთი წლით და 6 თვით, ან დაჯარიმებული იქნებიან 10,000 მანეთით. გენერალ-გუბერნატორი; გენერალ მაიორი **მაზნიაშვილი**.

◆ **საქართველო სომხეთის დამოკიდებულება.** 17 დეკემბერს შესდგა პროფესიონალური კავშირის საბჭოს სეკრეტარიატის კრება, სადაც გაირჩა კითხვა სანაინსა და ვარანცოვკაში მომხდარ ინციდენტის შესახებ. კრებამ ერთხმად დაადგინა: პარასკევს, 20 დეკემბერს, საღამოს 6 ნახ. საათზე მოიწვიოს შეერთებული კრება ყველა კავშირების გამგეობისა საბჭოსთან ერთად, სადაც ეს საკითხი განხილულ იქნება. დადგენილ იქნა ეგრეთვე მოწვეულ იქნას მომხსენებლათ მთავრობისა და იმ დელეგაციის წევრი, რომელიც იყო გაგზავნილი სანაინში მოსალაპარაკებლად. სეკრეტარიატი სთხოვს ყველა გამგეობის წევრებს აუცილებლად დაესწრონ კრებას.

◆ **კრწანისის ბაღების მუშების რეზოლიუცია.** „ვრცელებთ რა მხედველობაში, რომ სომხის ჯარის შემოსევა ბორჩალოს მაზრაში არის დალატი დემოკრატიული პრინციპებისა და ორ მეზობელ სახელმწიფოს შორის შურისა და მტრობის დამთესველი, ჩვენ პროტესტს ვაცხადებთ შემოსეულთა წინააღმდეგ ჩვენ საქვეყნოდ ვაცხადებთ, რომ საქართველოს დემოკრატიულმა მთავრობამ ყოველი ღონე იხმარა სადავო საკითხების მშვიდობიანად გადასაჭრელათ, რისთვისაც ჩვენ სრულ ნდობას ვუცხადებთ და მხარს ვუჭერთ მას. სისხლის ღვრის გაგრძელება დაღუპვას უქადის ორივე სახელმწიფოს დემოკრატიას და რევოლიუციას. ამისათვის ჩვენ მოვითხოვთ დაუყოვნებლივ გაყვანილ იქნან სომხის ჯარები წინანდელ საზღვრებზე და მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყოს სამშვიდობო მოლაპარაკება; წინააღმდეგ შემთხვევაში მოვუწოდებთ საქართველოს დემოკრატიას და მისი ნდობით აღჭურვილ მთავრობას ენერგიული ზომებით დაიცვას საქართველოს რესპუბლიკა და რევოლიუციის მონაპოვარნი სომხეთის კონტრ რევოლიუციონერულ შემოსევისაგან".

◆ **რეზოლიუცია** მიღებული 18 დეკემბერს საქართველოს რესპუბლიკის მომარაგების კომიტეტის მთავარი საწყობის მუშათა და მოსამსახურეთა შეერთებული კრების მიერ. „საქართველოს რესპუბლიკის მომარაგების კომიტეტის მთავარი საწყობის მუშათა და მოსამსახურეთა საერთო კრებამ, მოისმინა რა მოხსენება ორ მეზობელ ერთა შორის დაღვრილ სისხლის შესახებ, ერთხმად განურჩევლად ეროვნებისა, დაადგინა: 1) საერთო კრება ჰგმობს და ზიზღს უცხადებს სომხეთის მთავრობის ავანტიურისტულ ნაბიჯს, რაიცა გამოიხატა ჩვენ მოსაზღვრე ნაწილებზე თავდასხმაში, რაც მომასწავებელია ორივე ერთა დემოკრატიის უბედურებისა. და 2) კრება მიესალმება ჩვენი სიამაყე ქალარა ბელადის სახით საქართველოს მთავრობას, და ფიცსა სდებს მის წინაშე, რომ მთელი თავისი ძალებით მხარს დაუჭერს მთავრობის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს და მედგრათ დაიცავს საქართველოს ნორჩ რესპუბლიკას და რევოლიუციით მონაპოვარ თავისუფლებებს. კრების თავმჯდომარე ზ. ჩიჩუა, მდივანი ი. საბაშვილი.

◆ **ავლაბრის სახალხო გვარდიის საზოგადო კრებამ** შემდეგი რეზოლიუცია მიიღო: ავლაბრის რაიონის სახალხო გვარდიის საზოგადო კრებამ მოისმინა რა მოხსენება ამხანაგ ვ. ალიხანოვისა და მთავარ შტაბის მიერ გამოგზავნილ წარმომადგენლებისაგან დ. სიდამონიძის და თ. შენგელია, დადგენილ იქნა ერთ ხმათ: 1) თანახმათ მთავარ შტაბის დადგენილებისა მესამე (ავლაბრის) რაიონის სახალხო გვარდია რჩება დროებით ავლაბარში წესრიგის და მშვიდობიანობის დასაცავათ, მხოლოდ, თუ საჭირო იქნება, პირველი დაძახებისთანავე ფეხზედ დავდგებით ყველანი თოფით ხელში, როგორც ერთი კაცი თავისუფლების და საქართველოს რესპუბლიკის დასაცავათ, როგორც დღემდე გამოვდიოდით.

◆ **შეპყრობა.** მარიამობისთვეში, ნავთლუღში მცხოვრებლებმა განაცხადეს კომისართან, რომ მიხა ტერ-ფარსეგოვი და სოლომონ გაიხარაშვილი ურმით წავიდნენ ყარაიაზში და აღარ დაბრუნებულანო. ეჭვია, რომ გზაში თათრებმა დახოცეს და ურემი კამეჩებით წაიღესო. 11 დეკემბერს, კომისარ ჯაჯანაშვილმა შეიპყრო საბეითლოში ერთი თათარი—ველი ალი ოღლი, რომელსაც აღმოაჩნდა ორი კამეჩი და პატრონებმა იცნეს. გამოძიებით აღმოჩნდა, რომ დაკარგულები დაუხოციათ ყარაიაზის ახლო და კამეჩები ურმით წაუყვანიათ მკვლელებს. კამეჩები ჩაჰბარდა პატრონს, ველი ალი ოღლი ციხეში გაიგზავნა.

◆ **სახალხო უნივერსიტეტის** ქართული განყოფილების მუშაობა ნაძალადევში თანდათან სასურველ ნიადაგზე დგება. ლექტორები ხალისით ეკიდებიან თავის მოვალეობას. მსმენელთა რიცხვი მატულობს. ამჟამათ 22 ლექტორი მუშაობს; ამ დღეებში მეორე სემესტრისათვის ლექტორთა კოლეგიაში შევიდა სერგ. რობაქიძე (სამშობლოს აღწერა) ლ. შენგელაია (ხელოვნება) და სხვები. კვირაში 10 ლექცია იკითხება: კვირაში ერთხელ იმართება შეერთებულ აუდიტორიების თანადასწრებით პოლიტიკური ან კულტურული მნიშვნელობის საღამო. ბუნდოვანი სურათებიანი მოხსენებები და ლიტერატურული საღამოები, მოკლე ხანში დავ. ონიაშვილის თავმჯდომარეობით განზრახულია საქართველოს უკანასკნელ მეფის გასამართლება ნ. ბარათაშვილის პოემის „ბედი ქართლისა" მიხედვით. მეც დინეობა დაიწყო მუსიკალურსა და კოოპერაციის შესასწავლ სექციებში. შექმნილ მდგომარეობის გამო ყოველ დღე ლექციების დასაწყისში ლექტორი აუდიტორიას აცნობს მომენტს და აწვდის მსმენელთ ფრონტიდან მოსულ ცნობებს, რათა წესი და მყუდროება დაცულ იქნეს ჩვენ მებრძოლთა ხელის შესაწყობათ.

◆ **ქართულ ტეხნიკურ საზოგადოებაში.** 20 დეკემბერს, ფრეილინის ქუჩაზე № 11, საღამოს 6 საათზე, შესდგება საერთო და სამუნიციპალო სექციის დამაარსებელთა კრება.

◆ **ლექცია.** 20 დეკემბერს, საღამოს 6 ს., სახალხო უნივერსიტეტის ქართულ განყოფილებაში, ნაძალადევში ალ. ძოწენიძის მორიგ ლექციის მაგიერ ფსიქოლოგიიდან წაკითხულ იქნება მოხსენება „ინტერნაციონალური და ნაციონალური პოლიტიკა", სოც.-დემოკრატია და დაშნაკცუტიუნი.

**ქ რ ო ნ ი კ ა.**

— კვირას, 22 დეკემბერს, დილის 10 საათზე ქალაქის საბჭოს შენობაში შესდგება დელეგატთა ყრილობა.

## დუშეთის აჯანყების საქმე

პ. კახიანს, რომელსაც მინდობილი ჰქონდა დუშეთის აჯანყების საქმე, უკვე დაუმთავრებია გამოძიება. პასუხის გებაშია მიცემული ორას ორმოცდა თორმეტი (252) კაცი. საინტერესოა ცნობები ბრალდებულთა გვარტომობის შესახებ: პირველი ადგილი უკავიათ ქართველებს. ამათში კი დიდს უმრავლესობას შეადგენენ მეგრელები განსაკუთრებით (სენაკის მაზრიდან)—სახელდობრ 108 კაცი, დუშეთის მაზრის მცხოვრებთაგან პასუხის გებაშია მიცემული 39, რაჭა-ლეჩხუმიდან 35, სომეხი—12, რუსი—8, ოსი—9. გურიიდან მარტო ერთ კაცს ედება ბრალი—ფილიპე მახარაძეს. აქედან სხვათა შორის, მტკიცდება ისიც, თუ რამდენათ არ იყვნენ მართალი ისინი, ვინც დუშეთის ამბებს ადგილობრივ მცხოვრებთა უმწეო მდგომარეობით ხსნიდნენ.

## დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო).

19 დეკემბერი.

**ინგლისის პრესის ცნობები.**

პორტუგალიის პრეზიდენტი მოჰკლეს 14 დეკემბერს შუაღამისას, როცა ის რკინის გზის სადგურზე მიდიოდა ოპორტოში გასამგზავრებლად. პრეზიდენტს მოხვდა რევოლვერის სამი ტყვია. გაბრაზებულმა ბრბომ იქვე მოჰკლა მკვლელი.

ბელგიის მთავრობამ აუწყა ჰოლანდიას, რომ სამხედრო მასალას და სურსათს ინგლისიდან ბელგიაში ჩასატანათ შელდაზე გამოატარებენ.

„დეილი ექსპრესის" ცნობით, ომის გათავების გამო სამხედრო კაბინეტიდან გავიდა სმიტი. სმიტს შესთავაზეს პალესტინაში ალენბიმდე ჯარის სარდლობა, მაგრამ მან უარი განაცხადა.

ბრიტანიის ჯარმა გადაიარა რეინი. ცზენოსანმა ჯარმა მიაღწია საოკუპაციო საზღვარს.

16 დეკემბერს გაიხსნა გერმანიის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების ყრილობა. აღსანიშნავია მისი თანაგრძნობა ებერტის და შეიდემანის ჯგუფისადმი და დამფუძნებელ კრების მოწვევის სურვილი.

**ფრანგული პრესის ცნობები.**

საფრანგეთის სენატს საზეიმო სხდომა ჰქონდა ელზას-ლოთარინგის საფრანგეთთან შეერთების გამო 17 დეკემბერს სხდომის გახსნისას თავმჯდომარემ მოაგონა სხდომას, თუ რა სიხარულით შეეგებენ მცხოვრებნი პრეზიდენტს მეტცსა და სტრასბურგში.

მოჰკლეს პორტუგალიის პრეზიდენტი სიდონიო პაისი. მის ადგილს დაიჭერს სამხედრო მინისტრი კანტო კასტრიო.

„ტემპსი" იუწყება, რომ საზავო კონფერენცია გაიხსნება იანვრის პირველ ნახევარში. კონფერენციის გახსნის დღე ჯერ არ არის გამორკვეული.

**გერმანული პრესის ცნობები.**

ჰოლანდიური გაზეთი „ფატერლანდი" იუწყება, რომ ე—ლაში და შაპელში ბელგიელებმა უწესოება მოახდინეს.

მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების სახელმწიფო კონფერენციამ განიხილა სახალხო კომისარის მოხსენება, რომელმაც სასტიკათ გააკრიტიკა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის მოხსენება. მომხსენებელმა სახალხო კომისარმა აღნიშნა, რომ მთავრობა ემყარება მთელი სახელმწიფოს ხალხის ფართე წრეების ნდობაზე ისე, როგორც გერმანიის არც ერთი წინანდელი მთავრობა და მთელი ქვეყნის არც ერთი წინანდელი მთავრობა. აღმასრულებელ საბჭოსთან მოქმედების შეთანხმება ყოველთვის შესაძლებელი არ იყო. ბერლინის აღმასრულებელი საბჭო ახლა უქმდება. სოლფის თხოვნა მისი თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ მიღებულ იქნა. მაგრამ სოლფი აღმასრულებელ საბჭოს თხოვნით დარჩება თავის თანამდებობაზე ვიდრე მის მოადგილეს ვიშოვით. მომხსენებელი გადავიდა საერთო მდგომარეობის განხილვაზე და განაცხადა, რომ სახალხო მეურნეობის აღდგენა თუ გვსურს, უნდა ვიზრუნოთ, რომ წარმოება არ შეირყეს.

სოციალიზაციის ცხოვრებაში გატარების დროს ვერ განხორციელდება ყველა სურვილი. მხოლოდ მაშინ შეიძლება სოციალიზაციის ცხოვრებაში გატარება, როცა მეურნეობა ჩვეულებრივ კალაპოტში ჩადგება. ხალხის ბედი ახლა კი ისეთია, რომ მას სჭირია მუშაობა და გაჭირვების ატანა. პოლიტიკურათ განთავისუფლება არ ნიშნავს სოციალურ პრობლემების გადაწყვეტას. მშრომელმა კლასმა საქმის ნამდვილი ვითარება უნდა შეიგნოს. არავითარ ძალას არ შეუძლია შესცვალოს დაურღვეველი ჭეშმარიტება და შეუბრალებელი სინამდვილე. კამათმა ნათლად დაგვანახა, რომ დიდი უმრავლესობა სახალხო რწმუნებულთა მხარეზეა.

პროვინციიდან ჩამოსული ორატორები ბერლინის აღმასრულებელ საბჭოს ყოფაქცევას სასტიკათ აკრიტიკებდნენ. ლიბკნეხტისა და როზა ლუქსემბურგის კონფერენციაზე დაშვების შესახებ შემოტანილ წინადადებას კენჭი უყარეს, წინადადება უარყოფილ იქნა 440 ხმით, მომხრე იყო 60.

რეიხსტაგის პრეზიდენტმა ფერენბახმა რეიხსტაგის დეპუტატებს აუწყა, რომ დროებითი ზავის გაგრძელების და ზავის წინასწარ მოლაპარაკების გადადების გამო აუცილებელს საჭიროებას არ წარმოადგენს რეიხსტაგის მოწვევა.

პრუსიის სამინისტროს თავმჯდომარეს გირშს ბრანდენბურგის კომუნალური კავშირები შეეკითხნენ, შეუძლია თუ არა სახელმწიფოს თავის-თავზე მიიღოს სამხედრო სესხების მოვალეობა. გირშმა ასეთი პასუხი მისცა კავშირებს ცნობები სამხედრო სესხების გაუქმების შესახებ სიმართლეს არ შეეფერება. მთავრობის ხელმძღვანელ წრეებში არავინ ფიქრობს სამხედრო სესხების საქმეში რაიმე ცვლილების შეტანას და მაშასადამე სამხედრო სესხებს ძალა არ დაუკარგავს.

15 დეკემბერს დროებითი ზავის ინტერნაციონალურ კომისიის სხდომაზე გერმანელების მიერ აღძრული იყო საკითხი განეხილათ ხელ მეორეთ, თუ რა საბუთით წაიყვანეს ტყვეთ გერმანელი ჯარისკაცები იმ ადგილებიდან, რომელიც დაცლილა გერმანიის ჯარმა დროებითი ზავის ჩამოგდების შემდეგ. კომისია მოითხოვს შეცდომით დატყვევებულ ჯარისკაცთა განთავისუფლებას.

## თავდაცვის ფონდი

წერილი სალამი საქართველოს რესპუბლიკის ერთგულ დამცველებს. სულითა და გულით მინდა მეც მათ შორის ვიყო და ვიბრძოდე, მაგრამ მოხუცების გამო ეგ არ შემიძლია. მე შემიძლია შინაურ ფრონტს ვედგე დარაჯად და ჩემი მცირე წვლილი—ფულად შევეწიო დიდ საქმეს. გიახლებთ (60 მან. *) თავდაცვის ფონდისათვის.

წვრილი ვაჭარი ვასილ გ. ჩხირაძე.

## საფოსტო ვაგონებში

დღეს ბოროტება საერთო სენათაა მოდებული. ბევრი თქმულა და დაწერილა საფოსტო ვაგონების მახლობელ მოსამსახურეებზე, მაგრამ ძნელი წარმოსადგენია ყველა ის, რაც მართლა ხდება აქ. ქეიფობა ვაგონებში, ძმაბიჭების და კერძო მგზავრების ტარება, ჩარჩობა და სხვა ბოროტება აქ ჩვეულებათ გამხდარა.

კორპორაციის პრესტიჟის შემლახველნი ასეთი პირები ძირს უთხრიან საერთო საქმეს ამიტომ ამგვარ მოსამსახურეებს, დემოკრატიის მტრებს, დროზე უნდა მიუჩინონ თავიანთი ალაგი, თორემ მათ ხაზინით ვაჭრობა და ძარცვა ხელობათ გადაჰქცევიათ, როგორც სჩანს.

მორზისტ.

## თიანეთის მაზრაში

8 დეკემბერი. „მეუფეო, მეუფეო, რისთვის დამტოვე მე?"—შეუძლიან მოიჩივლოს ვიგინდარების ამარად მიგდებულმა თიანეთმა. ხომ გახსოვთ რა ეშმაკები დაეპატრონენ ზაფხულის დამდეგს დუშეთის მაზრას უპატრონობის გამო. მაინცა და მაინც უკეთეს პირობებში არ იმყოფება თიანეთი. იგი ღვთისგანაც მივიწყებულია, ადამიანისგანაც. თუ ვისმეს გაუბედე და მიეცი წინადადება აქეთკენ წამოვიდეს სამუშაოთ, აიმრიზ-აითხრება და მკვახეთ მოგეძახებთ: რას ამბობ, კაცო, თავი ხომ არა მაქვს მოსაკლავი, ამ ყიამით ზამთარში იქ რა წამიყვანსო?.. მართალია, ახლა აქ ზამთარია და ძალიან სჭირს თიანეთში მგზავრობა, მაგრამ რომ არც ზაფხულში ურჩიოდით გული აქ სამუშაოდ... მერე რამდენი საქმეა გასაკეთებელი... ასეთი დამოკიდებულებას წყალობით, ინტელიგენციით ღარიბ ღატაკი

---

*) ფული მივიღეთ. რედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თიანეთი, დარჩა უპატრონოთ და ერობის შემოღებაც ვერ ეღირსა.

ჯერ ზაფხულშიაც ძნელია ამ მთიან ადგილას მუშაობა, ვინაიდან მთლად მოწყვეტილია ყველა იმ გზებს, რომლითაც სხვა მაზრებში გაადვილებულია გადასვლა გადმოსვლა და ახლა, როცა თოვლმა ბარდნა, ან გაჰყინა მთა-გორიანი ბილიკები, ხომ უმძიმესი ხდება აქ მუშაობა. ეს საერთოდ. კერძოდ ერობის შესახებ კი მე ვიტყვი: თუ გვინდა, რომ ოდნავ მაინც ემსგავსებოდეს ერობას და არა სახაზინო ხუხულას, კარგა დრო და საშუალება ესაჭიროება მის შემოღებას.. უნდა უმთავრესი სოფლები მაინც მოიარო, რომ მცხოვრებთ გააცნოთ ერობის დანიშნულება, თორემ თუ მარტო ყუთები დადგა არ მოგივა ხალხი, არა და არა... მერმე გადაიდგა ამ მხრივ რაიმე ნაბიჯები?... რა ბრძანებაა?! ვისა აქვს თავი ხასიათულად გაზომებული?

რაკი არავინ დაიყოლიეს აქეთკენ წამოსასვლელად, ისევ მე მომმართეს... არ მაკმარეს ის ჯოჯოხეთური ტანჯვა სულისა, რომელსაც განვიცდიდი დუშეთის მაზრის გადარჯულებულ გლეხებში მუშაობით და ახლა თიანეთი შემომთავაზეს..., ნათქვამია, ყვავს შვილი მოუკვდა და ბუს მიუგდო—დიდი თავი გაქვს, შენ დაიტირეო... სწორედ ასეთ ამტინ ბუთ მივაჩნივარ ჩემს ამხანაგებს...

ხორხისა და გუდამაყრის ოღრო ჩოღრო კლდეების გადასალახავად—დათიკო გავისტუმრეთ, (ვიც მთიულეთსა და ხევში დაიარებს წასვლა აჯობებსო,—გადაღლურებულს წვრილფეხებს ისევ დათიკო თუ შეეჩვევინებს რასმეო და მთიან თიანეთში ერობის შემოღების ინსტრუქტორობაც მე დამაკისრეს...

მეტი გზა არ იყო... ჩავიცვი ჩემი კუდა ფარაჯა და შემოვჰყევი ყინულით გათანგულ მთების შეღმართს...

შემოვდგი თუ არა ფეხი თიანეთის მაზრაში—მაშინვე ჟუნჟური სურნელება მეცა...

„აქ პოლიციელთა სულია, აქ პოლიციელთა სურნელება მიმოიკმევა!"—ნება უნებლიეთ წაიჩურჩულეს ჩემმა ტუჩებმა, თუმცა ნაცრის ფერი დაედოთ—ეშმაკმა არ გაგვიგონოს ვინმემ და წყენა არ ავვათრევინოსო...

მართალიც, ადმინისტრაციის მხრივ თიანეთს ისევე არ უწერია ბედი, როგორც დუშეთს... აქაურ ამხანაგებთან შეხვედრა და საყვედური ერთი იყო...

— რას მოჰკლაკუნობდი ტყუილ-უბრალოდ—თუ კი ჩვენს სურვილს არ დააკმაყოფილებდი და არ გაგვიწმენდდით ადმინისტრაციას... რა მადლი აქვს იქეთ მუშაობას, როცა გული საგულეში არა აქვს კაცსაო... მართალია, მე ცათამდე მართალი ვიყავი და მათზე არა ნაკლებ ვბრაზობდი ამ უკვანობაზე, მაგრამ მაინც ხმა ვერ ამოვიღე სირცხვილით... მომაგონდა ის აურიცხელი მოხსენებანი, რომელსაც ვაკეთებდი ხოლმე „სასოფლო კომისიაში", ის აურიცხელი წერილებიც, რომლების საშუალებითაც ჩვენს ქვეყნის გაზეთებში ვაჩენდი ადმინისტრაციის უვარგისობის შესახებ და შემრცხვა... საშინლად შემრცხვა... რა უბედური კაცი ვყოფილვარ, ვერ იქნა, ვერ დავარწმუნე ის პირნი, რომელნიც ფიქრობენ ძველი პოლიციელების შემწეობით ჩვენი ადმინისტრატიული აპარატის განმტკიცებას, ვერ დავაჯერე ისინი, რომ ეს ექსპერიმენტი ფრიად სახიფათოა, ამან შეიძლება საშინელი შედეგი მოიტანოს და ხალხის დაშოშმინების ნაცვლად ფარეხად აზავთოს... მართალია, არა ერთხელ დამპირებიან დაუყოვნებელი ზომების მიღებას ასეთი ადმინისტრაციის წინააღმდეგ, მაგრამ ისინი, რაც დრო გადის, უფრო და უფრო მტკიცდებიან თავ-თავიანთ ადგილას და რისხვით და მუქარით ცას უწითლებენ ბრალიანსა და უბრალოს...

წინეთ თუ გამედდით ვეპაექრებოდი ამ ვაჟბატონებზე,—ახლა ცოტა არ იყოს შიში მეპარება... ალბათ მაგრათა აქვთ ფესვი გამდგარი, თორემ ასე არ იმრავლებდნენ მაშინ, როდესაც მათ წინააღმდეგ ასეთ ბრძოლას ვაწარმოებთ მეთქი.

როგორც უწმინდურისაგან შებილწულ თასს ბაზმით განწმენდენ ხოლმე, ისეთი საჭიროება განიავება-გაფაქიზება მაგნე ელემენტებისაგან ყველაზე ჩამორჩენილისა და დაავადებულს დუშეთ-თიანეთის მაზრებს—მაგრამ არ იქნა და არ ეღირსათ მათ ეს სიკეთე...

სწორედ ამისი ბრალია, რომ ამხანაგები გულ-გრილად დამხვდნენ... არ მომწყინდა აქეთკენ გული, მაგრამ ვიფიქრე, იქაური ამხანაგები გამამხნევებენ და გამიადვილებენ მძიმე საქმეხა მეთქი, მაგრამ მათი მოლუშული სახეები რომ დავინახე, გულში მწარედ შემომკვნესა: ჩვენიც შენ გაგიხდნენ საზრუნავი დღეთავში საცემიო... არ ვიცი, ღმერთმანი, ამხანაგებო ვინ ვუყოთ, ამათ მოუყარო თავი, ივაწყვეთ რომ გაფანტულან ურიცხვოდ მაზრაში—თუ სოფლებში გიმუშავო, რომელსაც ღვთის წყალობა—ღვთის რისხვად ესმის და ყველა გულითად სიტყვას და ძმურ რჩევას მტრულის ღიმილით ხვდება...

როგორღაც არის ნათქვამი: საცა იყოს ბედი შენი, იქ მიგიყვანს ფეხი შენიო. როგორ არა!.. მშვენიერ კუნძულზე გადმომტყორცნა ტიალმა ბედმა... ყველას თვალები ებრიცება ასეთ „დორანში" რომ მხედავ!... დაბადების დროს ქუდ ბედს რომ იტყვიან—სწორედ მე დამყოლია ის...

მინდოდა კვლავ განმეგრძო წერა, მაგრამ ისე მომიჭირა ყინვამ, რომ თითები კი არა, ლანის ტვინიც გამიყინოს... ვსწყვეტ წერას... შემდეგისათვის დარჩეს...

დ. თურდოსპირელი.

## იუსტიციის სამინისტროში

ქუთაისის ოლქის სასამართლოს პროკურორად ინიშნება იმავე სასამართლოს წევრი ნაზაროვი.

სამინისტროს კანცელარიამ მიიღო პარლამენტის იურიდიული კომისიის მიერ შესწორებული კანონ პროექტი ნაფიც მსაჯულთა იუსტიციის შემოღების შესახებ.

დუშეთის ამბების გამომძიებელმა კომისიამ დაამთავრა მუშაობა და სამინისტროს წარმოუდგინა საქმე 6 ტომით სათანადო მსჯელობის მისაცემათ.

## შრომის სამინისტროში

16 დეკემბერს შრომის სამინისტროში მოხდა იმ კომისიის კრება, რომელიც შედგარია თანახმად მთავრობის 10 დეკემბრის 1918 წ. დადგენილებისა და მიზნათ აქვს გააუმჯობესოს სახელმწიფო დაწესებულებებში მოსამსახურეთა მდგომარეობა იაფი სანოვაგის და სხვა საგნების მიწოდებით.

კრებას დაესწრნენ: სასურსათო სამინისტროს წარმომადგენელი ს. ი. ადამია, შრომის სამინისტროს წარმომადგენელი ა. ნ. ბახტაძე, სახელმწიფო დაწესებულებებში მაღალ მოსამსახურეთა პროფესიონალური კავშირის წარმომადგენელი დ. ს. ვაჩნაძე, ფოსტა ტელეგრაფის და ტელეფონის მოსამსახურეთა კავშირის წარმომადგენილი ა. მ. მებურიშვილი და შრომის მინისტრის ამხანაგი გ. პ. ერაძე.

კრებას არ დაესწრებია სახელმწიფო დაწესებულებებში დაბალ მოსამსახურეთა პროფესიონალური კავშირის წარმომადგენელი.

კრებას ხსნის და თავმჯდომარეობს შრომის მინისტრის ამხანაგი გ. პ. ერაძე. კრებამ, იქონია რა მსჯელობა მისდამი მინდობილ საგანზე, სახელდობრ: 1) რაც შეიძლება ჩქარა აღმოუჩინოს დახმარება სახელმწიფო დაწესებულებებში მოსამსახურეებს სანოვაგის და სხვა საგნების მიწოდების და 2) გამოიმუშაოს გეგმა იმ მუდმივ ორგანიზაციის შექმნის და მოქმედებისა, რომელსაც დაევალება აღნიშნული სანოვაგის და საგნების რეგულიარული მიწოდება მოსამსახურეებზე, დაადგინა: 1) შეგროვილ იქნეს საჭირო ცნობები მოსამსახურეთა რაოდენობის, მათი თანამდებობის, ჯამაგირების და ოჯახის წევრთა რაოდენობის შესახებ. აგრეთვე ცნობები იმის შესახებ, იღებენ თუ არა ახლა რაიმე სურსათ-სანოვაგეს რომელიმე დაწესებულებიდან, და თუ იღებენ, რამდენს და რა ფასებში. 2) შეკრებილ იქნას ყველა საჭირო ცნობები, თუ რომელი დაწესებულებიდან რა სურსათ-სანოვაგის შოვნა შეიძლება, რამდენი და რა ფასებში, განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს პირველ საჭიროების საგნებს, როგორიც არის პური, შაქარი, ჩაი, ზეთი, ნავთი, ტყავეულობა, საპონი, ძაფი, ფართლეულობა და სხვა. 3) მიენდოს დ. ს. ვაჩნაძეს მუდმივი ორგანიზაციის გეგმის შედგენა. 4) მიენდოს ა. მ. მებურიშვილს და ა. ნ. ბახტაძეს კომისიის ყველა დადგენილებების სისრულეში მოყვანა. 5) მოწვეულ იქნას ერთი მოსამსახურე, რომელიც იმუშავებს მებურიშვილის და ბახტაძის ხელმძღვანელობით და რომელსაც მიეცემა ჯამაგირი არა უმეტეს ათასი მანეთისა თვეში. ეს მოსამსახურე მოწვეულ იქნას ერთი თვით. მისი მოწვევა და პირობის მიცემა ევალება მებურიშვილს და ბახტაძეს. 6) მოწვეულ იქნას ახლო მომავალში კრება ეკონომიურ საზოგადოების და სასამართლოს დაწესებულებებში მოსამსახურეთა კოოპერატივის გამგეობის წევრთა კომისიაში გამოსაგზავნ ერთი წევრის ასარჩევად. 7) კომისიის თავმჯდომარისა და მდივნის არჩევნები გადაიდო შემდეგ კრებისათვის, რომელიც დანიშნულია 19 დეკემბერს.

## ს.-დემ. პარტიაში

თფილისი. 28 ნოემბერს შესდგა საქართველოს სოც.-დემ. მ. პ. მეორე რაიონის კოლექტივის წევრთა კრება. განსახილველი იყო შემდეგი კითხვები: მოხსენებები, დამფუძნებელი კრება, პარტიული მუშაობა და განცხადებები. კომიტეტის წარმომადგენელი აცნობს კრებას თფილ. კომიტეტის მიერ 1919 წლის 1-ლი იანვრიდან პარტიაში შესასვლელი გადასახადის 3 მან., ხოლო თვიური—1 მ. და 50 კაპ. გადიდების შესახებ გადაწყვეტილებას. დამფუძნებელ კრებისთვის წინასწარ მუშაობის შესახებ, კომ. დადგენილების თანახმად, პარტიის ყველა წევრებს უნდა გადახდეს ერთი დღის ხელფასი, რომელიც უნდა მოგროვდეს დაჩქარებით და გადაეცეს თფ. კომიტეტს. მოხსენებიდან ირკვევა, რომ თფ. კომ. უნდა დაარსდეს პროპაგანდისტთა ორგანიზაცია, რომელ ორგანიზ. უნდა ჩაეწერონ ყველა მოწინავე ამხანაგები და საჭიროების დროს გამოვიდნენ სამუშაოთ. ამასთან ერთად კომ. განუზრახავს ახლო მომავალში გახსნას პარტიული სკოლა. მეექვსე რაიონისა და ამ რაიონთან არსებულ ქალთა ორგანიზაციის შორის მოხდარ კონფლიქტის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. მინ. ტოროშელიძე, რომელიც ამბობს, რომ აღნიშნულ ორგანიზაციებს შორის მხოლოდ უბრალო გაუგებრობას ჰქონდა ადგილი. ქალთა ორგანიზ. მიერ გამართულ პირველ საღამოდან შემოსული ფულები გადაუციათ სკოლისთვის, ხოლო მეორე საღამოდან შემოსული ფულები კი გაზ. „ფაიქარის" ფონდის გასაძლიერებლათო. მოხსენებები მიღებულ იქნა მხედველობაში. პარტიულ მუშაობის, დამფუძნებელ კრებისა და საზოგ. კრების მოწვევის შესახებ კრებამ დაადგინა, მოწვეულ იქნას მეორე რაიონისა და ამავე რაიონის ქვე-კოლექტივების წევრთა შეერთებული კრება, სადაც გაარჩევენ ზემოხსენებულ კითხვებს. ამხ. მაკაროვი კრებას მოახსენებს ამხ. არშ. ზურაბოვის და მათი ჯგუფის არა სასურველ მოქმედებას და გამოსთქვამს იმ აზრს, რომ ხსენებულ ჯგუფის მოქმედებამ ერთგვარი დეზორგანიზაცია შეიტანა მუშათა მასაში, აღვივებს ეროვნულ ანტაგონიზმს და საჭიროა პარტიამ ყურადღება მიაქციოს ამ მოვლენასო. კრებამ ერთხმად აღიარა ხსენებულ ჯგუფის, ფაქტი და დეზორგანიზ. გამოსვლები და დაადგინა: დაისვას ეს საკითხი ხელმძღვანელ ორგანიზ. და საზოგ. კრებაზე. კრების დრო ექვსი საათის მაგიერ შეცვლილ იქნა 5 საათზე.

თედ. ხუხუნაიშვილი.

## წერილი რედაქციის მიმართ

ამხანაგო რედაქტორო! სახალხო უნივერსიტეტის ქართულ განყოფილების თაოსნობით ნაძალადევში გამართულმა საგანგებო სცენა-მო-წარმოდგენამ ბუფეტიდან დასტოვა 2,367 მ., იქვე გაყიდულ პროგრამებიდან სამ ყულაბიდან შემოვიდა განსაზღვრული თანხა, რომლის რაოდენობა გადაეცა მთავარ შტაბს; წარმოდგენიდან ბილეთებმა დასტოვა 922 მ. ხარჯი იყო 105 მანეთი, წმინდა შემოსავალი ბილეთებიდან დარჩა 817 მ., რომელიც გადაეცა გვარდიის შტაბის ხაზინადარს. უნივერსიტეტის განყოფილების სახელით მადლობას უძღვნით სამხედრო შტაბის უფროსს პოლკ. ჩაჰოძესა და მუშებს ამხ. ნოდიას სახით პროგრამებისა და „ლატარეის" უფასოთ დაბეჭდვისათვის, თეატრის კომისრის მოადგილეს კ. ფალავანდიშვილს ტანისამოსების უსასყიდლოთ დათმობისათვის, გვარდიელთა ლოტბარს მ. კატრიძეს, სცენის მოყვარეთა, ამხ. აპ. წულაძეს და სხვათა მონაწილეებს, რომელთაც ხელი შეგვიწყვეს მნიშვნელოვან დღის გამართვაში,

უნივერსიტეტის ქართული სექციის თავმჯდომარე ხერ. ჟორჟოლიანი.

მუშათა სექციის წარმომადგენელი ქ. ქუთათელაძე.



## განცხადებანი

ამერიკული ვაზის სანერგე
„კლოჭურული"
ქუთაისის ფოსტის ყუთი № 67.
იყიდება არჩეული ვაზის სამყრე, რომელიც იძლევა კარგს მოსავალს უწამლოთ. იქვე იყიდება: ორ სართულიანი სახლი სარდაფებით, მუხისა და კაკ. წითელი ხის მებელი, ბიბლიოთეკა 2000 წიგნით, და სხვადასხვა საოჯახო მოწყობილება.

გაიხსნილია
კერძო სამკურნალო
მუდმივი საწოლებით.
მიიღება ყოველგვარი სნეულებიანი ავათმყოფნი.
მიხეილის პრ. № 141 (კინემატოგრაფ „აპოლოს" გვერდით) ტელეფ. 5—97. ავათმყოფთა მიღება სპეციალისტ ექიმებისაგან ყოველდღე დილის 9 საათიდან საღამოს 7 საათამდე. ოპერაცია, კონსულტაცია, „914" და „606" შეშხაპუნება, მასაჟი, ყვავილის აცრა, სტაციონალური ავათმყოფები მიიღებიან სრული პანსიონით.

ექ. ქალი რ. ბ. [illegible]
[illegible] საღამოს 6—7 სათ. საათამდე. მიხეილის პრ., № 119, სახლი ფურერის. ტელ. 9—26.

ექიმი
ა. ნ. შატილოვი
იღებს თვალის სნეულებიან ავათმყოფთ საღამოს 4—6 საათ. სემინარიის ქუჩა, სახ. № 4 (ვორონცოვის ხიდის ახლო).

ექიმი დ. მ. ჯაფარიძე
[illegible] დილით 11—1 საათამდე, საღამოს 5—7 [illegible] ქუჩა № 7. [illegible] ტელეფონი 16—65.

გაიხსნა თვალის საავადმყოფო
(მუდმივი საწოლებით)
ექიმი დონხინისა
ყოფილი ასისტენტი უნივერსიტ. თვალ. კლინიკისა ვენაში და პარიზში. ავათმყოფების მიღება ყოველ დღე 9 საათიდან 1 საათამდე და 4—7 საათამდე. მიხეილის პროსპექტი № 141 (კინემატოგრაფ „აპოლოს" ახლოს) მძიმე ავათმყოფები და ოპერაციები მიიღებიან სრულ პანსიონში. ტელეფ. 5—96.

მიხეილის კერძო სამკურნალო
მუდმივ საწოლებით. მიხეილის პრ. № 167, ტელ. 11—85. ავათმყოფების მიღება ყოველდღე დილ. 9—2 საათ. და საღამოს 5—7 საათამდე.
ექ. ა. ნ. შატილოვი თვალ. სნეულ. დილ. 9—10 ს., ა. დ. წულუკიძე ქირურგ. და შინაგ. 9—10 ნახ. ს., ი. ნ. ტერ-აკოფოვი ქალ. და საბავშვო 10—11 ს., მ. ფ. მგალობლიშვილი ქირ. და ქალ. 11—12 ს., მ. ი. ვაჩნაძე შინაგ. და საბავშვო 11—12 ს., ნ. ა. გამრეკელი შინაგ. და ნერვ. დილის 12—1 ს., ა. პ. წულუკიძე ქირ. და შინაგ. საღ. 5—6 ს., კ. ვ. ტყეშელაშვილი ტყავისა და ვენერ. 6—7 ს.
მასაჟი, ელექტრიზაცია, კანის ქვეშ შეშხაპუნება. 606 და 914 შეშხაპუნება. საავათმყოფოსთან არსებობს სამშობიარო განყოფილება ექ. მ. მგალობლისა და ი. ნ. ტერ-აკოფოვის ხელმძღვანელობით.

ექიმი
იოსებ რაჟდენის ძე ცინცაძე
ღებულობს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფთ საღამოს 5—7 ს. მიხეილის პრ. № 121, ბინა 4. ტელეფონი 11—06.

კბილის საექიმო კაბინეტი
თეოდორე ხაჟარელის ძე [illegible]
ავადმყოფები მიიღება ყოველდღე დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—6 საათამდე, გარდა კვირა დღეებისა. მისამართი: კალოუბნის ქუჩა (ყოფილი ბარონის), სახელმწიფო ბანკის პირდაპირ, ტელეფონი 13—35.

ექიმი მ. ა. შაფრანი.
სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება 606 და 914), ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავათმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების საღამოს 4—5 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამ: ოლღას ქ. № 33.

მედიცინის დოქტორი
ა. გ. მაჭავარიანი
იღებს ქირურგიულ ავადმყოფებს 5—7 ს. ყოველდღე, გარდა კვირისა. მიხეილის ქუჩა. № 111. სახლი ადამოვისა, 2 ფლიგელი. ველის ტელ. № 49.

ექიმი
პ. ტ. ლორთქიფანიძე
(ბაქოდან)
მიიღებს შინაგან სნეულებისა და ბავშვების ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—12 საათამდე.
ნაბერეჟნაიას ქუჩა, სახლი 11. ტელ. 8—19.

ექიმი ქალი
ი. ხ. ქარუკის—ბეზურიშვილი.
იღებს შინაგან სნეულებიან ავადმყოფთ ყოველდღე დილის 12—2 ს. საღამოს 4—6 საათ. იძლევა სამედიცინო დარიგებას. მისამართი: ბელინსკისა და იზმაილოვის ქუჩების კუთხე № 24—28. შესასვლელი იზმაილოვის ქუჩიდან.

ექიმი ნ. ლ. ტურიაშვილი
(მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა) ღებულობს ავადმყოფებს ყოველ დღე შუადღის 12—2 და საღამოს 4—5 საათ. შინაგან სნეულებისა, სამეანო და საშვილოსნოს სნეულებანი. ნიკოლოზის ქუჩა, № 7, სიმხოვიჩის აფთიაქის გვერდით.

კახეთ მევენახეთა საზოგადოება, „კახეთი"-ს
გამგეობა აცხადებს, რომ მისთვის—
—საჭიროა გამოცდილი ბუღალტერი—
მსურველებმა თავიანთი პირობები ნამსახურობის და სწავლის მოწმობები უნდა წარმოადგინონ საზოგადოების გამგეობას, გოგოლის ქუჩა, № 63.

ტფილისის მაზრის საერობო გამგეობა
იწვევს ექიმებს, ფერშლებს და მოწყალების დებს (უკანასკნელთ არა ნაკლებ ორი წლის მუშაობის წარსულით) მაზრაში ეპიდემიებთან საბრძოლველად. სამსახურის პირობების გაგება შეიძლება ერობის გამგეობის ბინაზე—გოლოვინის პროსპექტი სახლი № 6, (სადაც ნემენცევის მისია ბინადრობდა), ტიფებისაგან სიკვდილით უბედურ შემთხვევაში საეპიდემიო პერსონალი დაზღვეულია: ექიმი 10,000 მან. ფერშალი 5000 მან. და მოწყალების და 3000 მან.

სახელმწიფო თეატრი
ოპერა.
შაბათს, 21 დეკემბერს, საბანეევას, სარაჯევის და ინაევის მონაწილეობით
—ტრავიატა—
კვირას, 22 დეკემბერს, დილით „ევგენი ონეგინი", საღამოს, „რუსალკა", სამშაბათს, 24 დეკემბერს, „ისკატელი ჟემჩუგა".

შემთხვევით ვალში
—იყიდება—
პრინც კონსტანტინე პეტ.—ძე ოლდენბურგსკის
მემკვიდრეების სახლი
მისამართი: ქუთაისი, ფოსტის ყუთი № 67.

სახელმწიფო თეატრი „კავშირის" დასი.
წარ. № 5, 6. პარასკევს, 20 და ორშაბათს, 23 დეკემბერს წარ. № 5, 6.
წარმოდგენილი იქნება მეორედ ი. გედევანიშვილის ზღაპარი-ფეერია
ზინათლე
(პირველი ნაწ.) 3 მოქ. და 7 სურ.
წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებს საოპერო დასის ბალეტი ბ. ვაკარეცის ხელმძღვანელობით, ხორო და ორკესტრი ფოცხვერაშვილის ლოტბარობით.
რეჟისორი შ. დადიანი. დასაწყისი საღამოს 7 საათზე.
რეჟ. თანაშ. ალ. გუგუშვილი. მორიგე წარმომად. ალ. გაჩეჩილაძე.
მხატვრები: ანტიგონე, ტარიელ გოლუა. მსახიობთა კავშირის დირექცია. (2—2)

საქართველოს სახაზინო რკინის გზის
სასურსათო კომიტეტი იწვევს მსურველთ მოიჯარადრეებს, რომელთაც შეუძლიანთ მოგვაწოდონ ყოველნაირი სურსათი რკინის გზის მოსამსახურეებისათვის. ნახვა და მოლაპარაკება შეიძლება:
ელისაბედის ქუჩისა და მუშტაიდის შესახვევის კუთხე № 200, დილის 10 — შუადღის 3 საათამდე. (2—2)

ამა წლის 29 აგვისტოს (ახ. სტილ.) ბელორეჩენსკაიას 9 ვერსით მოშორებულ სტანიცა ფშეხსკაიას მახლობლად (ტუაფსე-არმავირის რაიონი) ბრძოლის დროს
უკვალოდ დაიკარგა 1-ელ ქართულ საარტილერიო ბრიგადის მე 6-ე ბატარეის კანონირი
დავით არონის ძე ელიზბარაშვილი.
ვინც მის შესახებ რაიმე სარწმუნო ცნობებს მოგვაწვდის შეიძლება, დაპეჯითებით ვთხოვთ
ჯილდოს მიღებით
შეატყობინოს გულდათუთქულ მშობლებს შემდეგი მისამართით: ქ. ქუთაისი. მიხეილის ქუჩა, საკუთარი სახლი, არონ იაკობის ძე ელიზბარაშვილი. (12—4)


მსწრაფლ-მბეჭდავი სტამბა რუხაძისა, გაბაევის შესახვევი. № 1.